გაზეთი ბოევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№94 (850) 16 - 17 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გია გაჩეჩილაძე: „მორალური უფლება არ მაქვს, მას ახლა ვუღალატო!"

მწვანეთა პარტიის ლიდერი უმრავლესობისა და ფრაქციის სხდომებს ბოიკოტს უცხადებს და კოალიციას ბიძინა ივანიშვილთან ერთად ტოვებს!

გვ. 3

მხოლოდ 40 წლის

გვ. 5

მფარველობს თუ არა „დაბი ჯგუფის" აღმასრულებელ დირექტორს, სამი ედუარდსს არჩილ კბილაშვილი?

როგორ მოატყუა „დაბი ჯგუფის" თაღლითმა დირექტორმა არაბი შეიხი და ბიძინა ივანიშვილი, რატომ არ უჯერებს ახალი ხელისუფლება გიორგი სეთურიძეს?

ბურჯანაძის კლანის მიერ ჩადენილი ფინანსური მაქინაციების დღემდე უცნობი დეტალები...

გვ. 4

გვ. 6

რუსთაველის გამზირზე „ვენდის" პირველი რესტორანი გაიხსნა

მულტინაციონალური კომპანია ამერიკული რესტორნების ქსელის განვითარებას საქართველოში ვისოლ ჯგუფთან ერთად იწყებს

ნეპოტიზმისა და უკანონო გადაწყვეტილებების სკანდალური ფაქტები განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში

„ახალგაზრდა ადვოკატების" კვლევა კოლეჯში ცვლილებების საფუძველი ხდება

გვ. 9

ილია მეორე: „ბატონი ბიძინა ოპტიმისტია და ქვეყნის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს“

„ბატონი ბიძინა ოპტიმისტია და ქვეყნის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს“, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

პატრიარქმა ბიძინა ივანიშვილთან სტუმრობისას, მასთან საუბრის დეტალები გაიხსენა და აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრს მოჰყავს ისეთი არგუმენტები, რითაც სხვებსაც აჯერებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

„ღმერთმა ინებოს, ყველაფერი კარგად იყოს. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. არ შეიძლება, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო დაეცეს; არ შეიძლება, მტერმა სძლიოს მას. უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით. ღვთის ერი უნდა ვიყოთ და მუდამ გამარჯვებული ვიქნებით. ბატონი ბიძინა დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რა იქნება მომავალში, როგორ შეიძლება გაჩნდეს სამუშაო ადგილები, რა უნდა გაკეთდეს, რომ აყვავდეს სოფლის მეურნეობა. აქვს ძალიან კონკრეტული და რეალური გეგმები ამასთან დაკავშირებით“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით თავადაც ბევრს ფიქრობს. უწმინდესი მიიჩნევს, რომ თუ სოფლის მეურნეობა გაძლიერდება, ქართველებზე ბედნიერი ერი დედამიწაზე არ იქნება.

„ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ შრომას. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩინეთიდან ან ინდოეთიდან მოსულები დაამუშავებენ მიწას. მათ შეიძლება დაამუშაონ, მაგრამ თავისთვის დაამუშავებენ და არა ჩვენთვის. ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბუნება, მიწა. არ უნდა მოვაცდინოთ მიწა. ამას ალბათ ჩვენი ხელისუფლება მოსთხოვს რაიონებში ადგილობრივ ხელმძღვანელებს. ყოვლად დაუშვებელია მიწის მოცდენა“, — ბრძანა პატრიარქმა.

„ინტერპრესნიუსი“

ბიძინა ივანიშვილი და კახა კალაძე შუახევჰესის მშენებლობას ჩაუყრიან საფუძველს

შუახევჰესის დადგმული სიმძლავრე 178 მეგავატია, მისი წლიური გამომუშავება კი 445,1 მლნ კილოვატ საათს შეადგენს. პროექტით 2 კაშხლისა და წყალსაცავების მოწყობაა გათვალისწინებული. შუახევჰესის მშენებლობის პარალელურად, ინვესტორები კასკადის შემადგენელი სხალთაჰესის მშენებლობას იწყებენ. სხალთაჰესის დადგმული სიმძლავრე 5,8 მეგავატია, წლიური გამომუშავება კი – წელიწადში 20,8 კილოვატი საათი. ორივე პროექტის საინვესტიციო ღირებულება 300 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა 2016 წლის მეორე ნახევარში დასრულდება.

ღონისძიებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, აჭარისწყალი ჯორჯიას აღმასრულებელი დირექტორი ბიორნ ბრანდზაგიხი, Tata Power-ის აღმასრულებელი დირექტორი ანილ სარდანა, Clean Energy Group-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბორდ მიკელსენი და IFC-ის უფროსი საინვესტიციო ოფიცერი ჟულიენ ტიურო დაესწრებიან; ასევე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, საპარტნიორო ფონდის, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული ნორვეგიის, ინდოეთისა და თურქეთის ელჩები და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მენეჯერები.

მდინარე აჭარისწყლების შენაკადებზე შუახევჰესის კასკადის მშენებლობას ინდური კომპანია TaTa Power (40%), ნორვეგიული კომპანია Clean Energy Invest (40%) და IFC InfraVentures (20%) ახორციელებენ, რომელიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), პროექტების ადრეულ სტადიაზე განვითარების მიზნით ჩამოაყალიბა.

„პირველი“

„არა კოჰაბიტაციას!“

მსახიობი გია კორკოტაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, ნოდარ ჯიბლაძე, ბესო ხარძიანი, მამუკა არეშიძე და მათი თანამოაზრეები ახალ მოძრაობას „სამოქალაქო სოლიდარობას“ აფუძნებენ. როგორც გია კორკოტაშვილი აცხადებს, **„უკვე 11 თვეა ვუყურებთ, თუ როგორ ვითარდება მოვლენები ქვეყანაში და არსებული რეალობის გამო, გადავწყვიტეთ, შევქმნათ მოძრაობა „არა კოჰაბიტაციას“. ბიძინა ივანიშვილის გარშემო სიცრუემ იმატა. მას ის ხალხი ახვევია გარს, ვინც არათუ მომავალზე, არამედ ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციაზე ზრუნავს. არ აღდგა სამართალი და რა ვქნათ, თვალდახუჭულმა ვიცხოვროთ? ჩვენ გვინდოდა, სიკეთე მოეტანა „ოცნებას“, თუმცა როგორც ჩანს, არაფერი მოგვიტანა. ბიძინა ივანიშვილს დამსახურებებსა და ქვეყნისთვის გაკეთებულ სიკეთეს არ ვუკარგავთ. ივანიშვილს არ ვეწინააღმდეგებით, მაგრამ გუნდი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა, განცალკევებით დგას თითქოს, მათგან ზოგიერთი არაპროფესიონალი გამოდგა, ზოგმა ვერ ივარგა. როგორ არ მოვიხსენიო ცუდად ის, რომელიც იმასთან მეგობრობს, ვინც ამდენი წლის განმავლობაში აუბედურებდა და ჩაგრავდა ჩემს ქართველ ხალხს. იმისთვის ვებრძოდით სააკაშვილის რეჟიმს, რომ ისევ თვითონ იყვნენ კარგად და ბედნიერად?.. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ჩვენთვის სულ ერთია ნინო ბურჯანაძე მოვა თუ გიორგი მარგველაშვილი სათავეში. ჩვენ ისევ ვიქნებით და გავაკონტროლებთ მათ!“**

„ვერსიანიუსი“

ბარაკ ობამა: „თუ დიპლომატია შედეგს ვერ გამოიღებს, ამერიკის შეერთებული შტატები მოქმედებისთვის მზადაა“

თეთრი სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში აშშ-ს პრეზიდენტმა ჟენევის მოლაპარაკების შესახებ კმაყოფილება გამოხატა და შედეგს მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა.

სამდღიანი განხილვების შედეგად, ჯონ კერიმ და სერგეი ლავროვმა 6-პუნქტიანი დოკუმენტი შეიმუშავეს, რომლის თანახმადაც, სირიის ქიმიური არსენალი 2014 წლის პირველ პერიოდამდე უნდა განადგურდეს.

ეკატერინე ხვედელიძე პატრიარქის ინიციატივით ჩამოყალიბებულ ტყის განაშენიანების ფონდს უხელმძღვანელებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით, ტყის განაშენიანების ფონდი ჩამოყალიბდება, რომელსაც პრემიერ-მინისტრის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე უხელმძღვანელებს, — ამის შესახებ უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

ეს იდეა ბიძინა ივანიშვილს თავად პატრიარქმა შესთავაზა და თანხმობა მიიღო. მისი თქმით, ძველად თბილისის გარშემო მთები ტყით იყო დაბურული და როდესაც მტერი შემოდიოდა, მოსახლეობა ტყეებში იხიზნებოდა. უწმინდესის განცხადებით, ამის გამო მტერმა მთელი ტყეები გადაწვა და ახლა ქალაქის გარშემო ხრიოკი მთებია. პატრიარქის თქმით, მისი ინიციატივით, ახალგაზრდები ყოველ დარგულ ნერგზე 0.50 თეთრს მიიღებენ.

„სტუდენტებს სჭირდებათ დახმარება და ვთხოვე ბატონ ბიძინას, ჩვენს ახალგაზრდებს ყოველ დარგულ ნერგზე მიეცეთ 50 თეთრი. ეს მათ სწავლისა და არსებობისთვის დაეხმარება. ახალგაზრდობასაც ექნება ინტერესი. ამასთან ერთად, ფონდი გააკეთებს ყველაფერს, რომ ნერგების ზემოთ იყოს წყლის რეზერვუარი და ყველა ნერგის ძირში ჩადიოდეს წვეთოვანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ნერგი გაიხარებს. ყოველმა ახალგაზრდამ შეიძლება დღეში დარგოს 20 ნერგი და მიიღოს შესაბამისი გასამრჯელო, რომელსაც შესაძლოა, დახმარება ვუწოდოთ. დიდად კმაყოფილი დავბრუნდი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრიდან და იმედით ვუყურებ მომავალს. ღმერთმა ინებოს, მოგვეცეს გული გონიერი, რათა ყველაფერი გავაკეთოთ ღვთის სადიდებლად და სამშობლოს სასარგებლოდ“, — ბრძანა უწმინდესმა.

„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტის განცხადებით, ნასამართლობისა და პირობითი მსჯავრის მოხსნა სქემის მიხედვით მოხდება

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ნასამართლობისა და პირობითი მსჯავრის მოხსნა სქემის მიხედვით მოხდება.

„ეს ჩვეულებრივი პროცესია. სამართლებრივი პროცედურაა და გავყვებით სქემას. ოღონდ, რა თქმა უნდა, მძიმე დანაშაული ამაში არ შედის. არსებობს ჩამონათვალი დანაშაულებისა და ჩვენ ხელაღებით მკვლელებს და მძიმე დამნაშავეებს არ მოვუხსნით, მაგრამ დანარჩენებს — რა თქმა უნდა“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ჯერ უცნობია, როდის მოეხსნებათ ნასამართლობა და პირობითი მსჯავრი იმ პირებს, რომლებმაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადები მიხეილ სააკაშვილის ინდივიდუალური შეწყალების აქტის საფუძველზე შეიტანეს. ამ დრომდე, ნასამართლობისა და პირობითი მსჯავრის მოხსნის თხოვნით პრეზიდენტს 14926-მა პირმა მიმართა.

ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, განმცხადებელ პირთა განაჩენებს ადმინისტრაცია სასჯელაღსრულების სამინისტროსგან გამოითხოვს, გადაამოწმებს და ამის შემდეგ მოხდება შეწყალების აღსრულება.

პრეზიდენტის პრესსამსახურში ვერ დააკონკრეტეს, რა ვადები დასჭირდება შეწყალების მსურველთა განაცხადების დაკმაყოფილებას. ამასთან, ადმინისტრაცია მოუწოდებს პირობით მსჯავრდებულებს, სანამ შეწყალების შესახებ შეტყობინებას არ მიიღებენ, პრობაციის ბიუროებში სავალდებულო დაფიქსირება არ შეწყვიტონ.

ავლაბრის რეზიდენციაში შეწყალების მსურველთა რეგისტრაცია ამ დრომდე გრძელდება. საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა პირობითი მსჯავრისა და ნასამართლობის მოხსნის გადაწყვეტილებაზე განცხადება 19 აგვისტოს გააკეთა. პრეზიდენტის ინიციატივა არ შეეხება პირებს, რომლებსაც ჩადენილი აქვთ დანაშაული სახელმწიფოს ან კაცობრიობის წინააღმდეგ, ასევე მათ, ვინც გასამართლებულია პედოფილიის ან განზრახ მკვლელობის საფუძველზე.

„ინტერპრესნიუსი“

გია გაჩეჩილაძე: „მორალური უფლება არ მაქვს, მას ახლა ვუღალატო!“

მწვანეთა პარტიის ღიდერი უმრავლესობისა და ფრაქციის სხდომებს ბოიკოტს უცხადებს და კოალიციას ბიძინა ივანიშვილთან ერთად ტოვებს!

ეროსუდან შელია
557-100-768

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, კოალიციის დატოვებას გეგმავს, რადგან აცხადებს, რომ გუნდში მის მიმართ არაკოლეგიალური დამოკიდებულებაა. რატომ ვერ მოხვდა პარლამენტის ევროდელეგაციის სიაში და ვინ უთხრა პარტიის დაფინანსებაზე უარი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე კოალიციის წევრებს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ამხელს.

— იმის გამო, რომ კოალიციაში მწვანეთა პარტიის მიმართ დამოკიდებულება არაკოლეგიალურია, უმრავლესობისა და ფრაქციის სხდომებს ბოიკოტი გამოვუცხადე, ხოლო ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, კოალიციასაც დავტოვებ. ჯერჯერობით, კოალიციაში დარჩენის მიზეზი არის ის, რომ ბატონ ბიძინას, როგორც დემოკრატიული რევოლუციის შემოქმედს, დიდ პატივს ვცემ. მიმაჩნია, რომ მორალური უფლება არ მაქვს, მას ახლა ვუღალატო.

— კოალიციაში არაკოლეგიალურ დამოკიდებულებაზე მხოლოდ მას შემდეგ ალაპარაკდით, რაც პარტიათა დაფინანსების კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, თქვენმა პოლიტიკურმა ძალამ სახელმწიფო დაფინანსება ვერ მიიღო. მხოლოდ ფინანსები გახდა კოალიციის წევრებთან დაპირისპირების მიზეზი?

— შესაძლოა, პარტიების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება დაკავშირებულიც იყოს ჩემს განცხადებასთან, თუმცა ეს ფაქტორი მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი გახდა. მოგეხსენებათ,

გარემოს დაცვის მიმართულებით მწვანეთა პარტიამ და პირადად მე, წინა მოწვევის პარლამენტებში 21 საკანონმდებლო აქტი მოვამზადეთ, რომლებიც შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ გაანადგურა და ქვეყანა ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა. მეგონა, ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტში ჩვენს პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას გაითვალისწინებდნენ, მაგრამ ფაქტია, მდგომარეობის შესაცვლელად არავითარი ბერკეტი არ მომცეს — დღეს ჩვეულებრივი დეპუტატი ვარ.

— გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის სტატუსის მიღება გსურდათ, რომლის თავმჯდომარე ახლა გიორგი ცაგარეიშვილია?

— არა, უბრალოდ, მქონდა ილუზია, რომ იმ მინიმალურ ბერკეტებს მაინც მოგვცემდნენ, რომლის საშუალებითაც ამჟამინდელი კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა შესაძლებელი გახდებოდა. კონკრეტულად, არავის დავასახელებ, როგორც ჩანს, პროფესიონალიზმი დღესაც ვერ გახდა პრიორიტეტი.

— პარლამენტში არაპროფესიონალი კოლეგები გყავთ?

— რა თქმა უნდა, პარლამენტშიც და მთავრობაშიც პროფესიონალიზმის დეფიციტია, თუმცა გარკვეულ უწყებებში, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროში პროფესიონალები მუშაობენ. თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში პროფესიონალების რიცხვი არ გაიზარდა, საკმაოდ ცუდ შედეგამდე მივალთ. პროფესიონალების იგნორირება, რაც თუნდაც ჩვენს მაგალითზე კარგად გამოჩნდა, საკმაოდ ცუდი პოლიტიკაა.

იმის ილუზიაც გვქონდა, რომ რადგანაც მწვანეთა პარტიას ევროპის პარლამენტში საკმაოდ მძლავრი ფრაქცია ჰყავს, ევროდელეგაციის სიაში მაინც აღმოვჩნდებოდით. სახელმწიფო თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა. ევროპის სახალხო პარტია, რომელსაც ევროპარლამენტში ყველაზე დიდი ფრაქცია ჰყავს, საქართველოს ხელისუფლებას მიზანმიმართულად ებრძვის და ნაციონალურ მოძრაობას ღიად უჭერს მხარს. ერთადერთი პარტია, რომელიც ევროპარლამენტში გვიცავს, სწორედ ევროპის მწვანეთა პარტიაა, ამიტომ როცა სიაში ჩემი თავი ვერ აღმოვაჩინე, გამიკვირდა.

კვარტალში ერთხელ ისედაც დავდივარ ევროპაში, ამიტომ არავის ეგონოს, მოგზაურობაზე ვოცნებობ. პირიქით, სიაში სწორედ ის დეპუტატები მოხვდნენ, რომლებსაც ევროპაში უფასო მოგზაურობა სურთ. მართლაც არ მესმის, ეს რა დამოკიდებულებაა?!

ამ ყველაფერს დაემატა პარტიების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, როცა 18-მა პოლიტიკურმა ძალამ დაფინანსება მიიღო, ჩვენ კი აბსოლუტურად არაფრით დავრჩით. ნაციონალურ მოძრაობას სახელმწიფო დაფინანსება გაუზარდეს, პარლამენტს გარეთ დარჩენილ შვიდ პოლიტიკურ პარტიას ბონუსის სახით, ერთჯერადი დაფინანსება გამოუყვეს, მწვანეთა პარტია და სოციალ-დემოკრატები კი, რომლებიც პარლამენტში წარმოდგენილი პარტიები ვართ, რატომღაც ყველას გამორჩა.

ამ შემთხვევაშიც, კოალიციის დამოკიდებულებაზე ვსაუბრობ, თორემ ფული მწვანეთა პარტიას არასოდეს ჰქონდა, თუმცა თავის გატანას ყოველთვის ვახერხებდით. სამწუხაროდ, მრავალპარტიულ კოალიციაში კადრების შერჩევაც საკმაოდ დიდ წინააღმდეგობების საფუძველი ხდება.

— კონკრეტულად, დაასახელეთ ის პოლიტიკური ძალები კოალიციაში, რომლებიც საკუთარ აქტივისტებს ლობირებენ, სახელმწიფო ფინანსებს პირადი პოლიტიკური შეხედულებისამებრ ანაწილებენ და ამ ნიადაგზე შიდადაპირისპირებასაც არ ერიდებიან.

— ეს ყველაფერი დეტალებში ვიცი, მაგრამ სიმართლის თქმასაც თავისი დრო აქვს. ათეული წელია, პოლიტიკაში ვარ, ათასი მაიმუნობა მინახავს, უმრავლესობის დეპუტატებზე ბევრად გამოცდილი პოლიტიკოსების გათვლილ ნაბიჯებს ვხვდებოდით, ამიტომ დღესაც კარგად ვამჩნევ, რაც ხდება პარლამენტში. ამ შემთხვევაში კონკურენტის ჩამოშორებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ვინც ჩვენს წარსულს გადახედავს, მიხვდება, რომ პოლიტიკურ ბრძოლებში გამოწრთობილები ვართ.

— მსგავსი შიდაპროცესების ფონზე, კოალიცია ერთიანობის შენარჩუნებას რამდენ ხანს შეძლებს?

— შიდაბრძოლების მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ კოალიცია არ დაიშლება. ეს არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს არ აწყობს.

დასასრული მე-4 გვერდზე

თინა ხიდაშელის კომისიის მიერ დასაკითხ პირთა სია

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია 30-მდე პირის დაკითხვას გეგმავს. წყაროს ინფორმაციით, კომისიის საქმიანობის ფარგლებში, პირველი დაკითხვის პროცედურა 16 სექტემბერს გაიმართება. დასაკითხ პირთა სიაში არიან: კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, მოქმედი კომისიონერი სოფიო ბრიტანჩუკი, მოქმედი კომისიონერი აკაკი სიხარულიძე, მოქმედი კომისიონერი ირაკლი მოსეშვილი, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი არველაძე, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი, ყოფილი კომისიონერი ზურაბ ნონიკაშვილი, ყოფილი კომისიონერი გიორგი ფრუიძე, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი კახი ყურაშვილი, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იურისტი ნინო ნიჟარაძე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი იოსებ ხარებავა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი გიორგი რატიშვილი, შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორი ნიკოლოზ გვარამია, შპს ტელეკომპანია „საქართველოს“ წარმომადგენლები — ბექა პაატაშვილი და თამარ სტეფანიშვილი, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი რეზო ჭარბაძე.

აღნიშნული პირების გარდა, თინა ხიდაშელის კომისიის მიერ დაკითხული იქნება საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ბეჟუაშვილიც. კომისიის საქმიანობის ფარგლებში, ყოფილი ჩინოვნიკების თუ, მოქმედი თანამდებობის პირების გარდა, მედიის წარმომადგენლების დაკითხვაც იგეგმება. კერძოდ, კომისია გეგმავს შემდეგ პირთა დაკითხვას: შპს ტელეკომპანია „საქართველო“ — კახაბერ ნინუა, შპს „ალანია“ — მამუკა თათოშვილი, შპს „საქართველოს ტელე-რადიო ცენტრი“ — გიორგი დეკანოსიძე, შპს ტელეკომპანია „თვალი“ — გია ნაცვლიშვილი, შპს „ობიექტივი“ — ირმა ჭკადუა, ააიპ „სტუდია მონიტორი“, ფილმის „ქართული მედია ვარდების რევოლუციის შემდეგ“ ავტორი ნინო ზურიაშვილი, ააიპ „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ნათია კუპრაშვილი, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მედიაექსპერტი მამუკა ანდღულაძე, შპს „მადი“ ავთანდილ დევიძე, შპს „გლობალ მედია ჯგუფის“ წარმომადგენლები — ლევან ყუბანეიშვილი და მამუკა გამყრელიძე.

„ფორ.გე“

მთავრობამ „ცე“ ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვა გადაწყვიტა

სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, ტენდერში მონაწილე კომპანიები ვალდებულებას იღებენ, C ჰეპატიტის სამკურნალო ინექცია ბაზარზე 10 ათასი მოქალაქისთვის იგივე ფასად გაიტანონ, რა ფასადაც 2 ათასი პატიმრის მკურნალობა მოხდება.

„ამ წუთში ერთი წამალი 235 დოლარი ღირს, ხოლო ტენდერის საწყისი ფასი 109 დილარიდან ქვემოთაა. იმედი გვაქვს, წამლის ფასი 100 დოლარს ჩამოცდება ანუ დაახლოებით 2 მესამედით დაიკლებს. ეს სამოქალაქო საზოგადოებისთვის მართლაც დარღვევაა, რადგან დაახლოებით 10-15 წელია, C ჰეპატიტის სწრაფი გავრცელება დაიწყო და ახლა იმ ფაზაში გადავდივართ, როცა თუ არ მივხედეთ, დაახლოებით, 1-2 წელიწადში მასობრივ ეროვნულ უბედურებად იქცევა“, — განაცხადა სუბარმა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს კონკრეტულ ტექნიკურ მხარდაჭერას ჯანდაცვის სამინისტრო უწევს. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, ამ შემთხვევაში ჯანდაცვის სამინისტრო სასჯელაღსრულებას „ცე“ ჰეპატიტის მედიკამენტების შესყიდვაში დაეხმარება.

„პირველი“

ბურჯანაძის კლანის მიერ ჩადენილი ფინანსური მაქინაციების დღემდე უცნობი დეტალები...

ეკატერინა მაისურაძე

ნინო ბურჯანაძემ ყელი ისე მოიღერა ოპოზიციაში, ისე გალაღდა, წარსული საერთოდ მიივიწყა. გეგონება, ამ ქალს მთელი ცხოვრება ხელფასზე უცხოვრია და მის ოჯახში მარცხენა შემოსავალი არ გაჭაჭანებულაო. არადა, რეალობა სხვაა.

ყველას კარგად გვახსოვს მამამისის, ანზორ ბურჯანაძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები კორუფციის ბრალდებით, რომელთა ჩაფარცხვასაც ხან თავად „დონ ანზორი ახერხებდა“, ხან სიძე და შვილი ეხმარებოდნენ. დღეს ნინო ბურჯანაძე სხვის კორუმპირებულობაზე ლაპარაკობს, არადა თუ ლევან ბერძენიშვილს დავესესხებით, **„ბურჯანაძეთა ოჯახში ნივთი არ არის, ხაზინიდან მოპარული ფულით რომ არ იყოს შეძენილი. ანზორ ბურჯანაძე და მისი შვილი თუ სიძე ერთმანეთს ეშურებოდნენ, ვინ მეტს მოიპარავდა ბიუჯეტიდან“.** საქმე იქითკენ მიდის, შეიძლება, ნინო ბურჯანაძეს ხელისუფლების წევრთა კორუმპირებულობაზე ლაპარაკის იშტა დაეკარგოს.

ამ მხრივ, საინტერესოა, კონტროლის პალატის დასკვნა, რომელიც საქართველოს პარლამენტის შემოწმებას სწორედ იმ პერიოდს ეხება, როცა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გახლდათ, ხოლო პარლამენტის ყველა მნიშვნელოვან სამსახურს მისი კადრები განაგებდნენ. კონტროლის პალატის დასკვნაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები შეინიშნება და, კულუარული ინფორმაციით, მისით პროკურატურა დაინტერესდა. თავად ბურჯანაძისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აღნიშნული დასკვნა პროკურატურას იმის საშუალებას ნამდვილად მისცემს, რომ ბურჯანაძის პარტიის ლიდერებს მისწვდეს – გოჩა მარტინენკოს, მურღულიასა და ცერცვაძეს. ეს სამეული განაგებდა პარლამენტის აპარატს და მის ფინანსებს. სხვათა შორის, როცა ბურჯანაძეს საპარლამენტო სიის დაპირისპირება მოუხდა სააკაშვილთან, რადგან საკუთარი ხალხი იმ რაოდენობით არ ჩაასმევინეს, თავად რომ ითხოვდა, „ბურჯანაძის სიაში“ ეს სამეულიც იყო და ნინო მათ გადეპუტატებასაც აპირებდა.

კონტროლის პალატის სარევიზიო კომისიის შემოწმების აქტის თანახმად, პარლამენტის აპარატის ყოფილი უფროსი გოჩა მარტინენკო ფინანსთა მინისტრს, ლექსო ალექსიშვილს მიმართავს წერილობით, რომ „კაპიტალური ხარჯების“ მუხლიდან 80 000 ლარი გადაიტანოს „სხვა საქონლისა და მომსახურების მუხლში“. ალექსიშვილი თხოვნას უსრულებს მარტინენკოს და პარლამენტის ბიუჯეტში 80 000 ლარი აორთქლდა, ეს თანხა გაიხარჯა და ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ არსებობს.

გარდა ამისა, გოჩა მარტინენკომ დაარღვია ფინანსთა მინისტრის №1278 ბრძანებულება. პარლამენტის საწყობიდან გაცემულია „მატერიალური საშუალებები“, მაგრამ შესაბამის დოკუმენტს ხელს მარტინენკო არ აწერს. ხელს მხოლოდ საწყობის გამგე აწერს და მისივე ბეჭედი აზის, რაც კანონდარღვევაა. ამ „მატერიალურ საშუალებებში“ 2 ჭაღი, 4 ხალიჩა, 6 მაგიდა, 14 მაგიდის ბრა, 6 კომპიუტერი, სულ 18 დასახელების საქონელია. გამოდის, ისე ნიავდებოდა სახელმწიფო ქონება, მარტინენკო, პარლამენტის აპარატის უფროსი ან აზრზე არ იყო, ან თვალს ხუჭავდა. 2006 წლის 2 მარტს, პარლამენტმა კონკურსი გამოაცხადა ავტომობილების შეძენაზე და შპს „კრეს ავტოჰაუსისგან“, ერთ პირთან მოლაპარაკების წესით, 771 000 ლარის ოდენობის 21 ერთეული VOLKWAGEN MULTIVAN შეიძინა. ცხადია, რომ დარღვეულია კანონი „შესყიდვების შესახებ“, რომლის თანახმადაც საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია, 100 000 ლარის ზემოთ ნებისმიერი საქონლის შეძენასა და მომსახურებაზე ტენდერი გამოაცხადოს და ტენდერში გამარჯვებულთან გააფორმოს კონტრაქტი. მარტინენკომ ტენდერი კი გამოაცხადა, მაგრამ არ ჩაატარა, ერთ იურიდიულ პირთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით შეიძინა ლამის მილიონის ღირებულების ავტომობილები. ნინო ბურჯანაძის ნებართვის გარეშე, ამას მარტინენკო ვერ გაბედავდა, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. ახლა ისაა საინტერესო, ვინ დგას შპს „კრეს ავტოჰაუსის“ უკან და რატომ გაუსაღა ბურჯანაძე-მარტინენკომ 21 ავტომობილი, თითო - 36 714 ლარად, როცა „ფოლკსვაგენის“ ეს მოდელი, იმ დროს, თბილისში გაცილებით იაფი ღირდა. პარლამენტმა ორჯერ ისე შეისყიდა დიზელის საწვავი შპს „უნიგრუპისგან“, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარუდგენია. ამით დაარღვია „შესყიდვების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რაც ითვალისწინებს როგორც ადამიანის ტრადიციულ, ასევე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. პარლამენტმა „უნიგრუპს“ ჯერ 29 900, მეორედ 36 00 ევრო გადაურიცხა.

2007 წელს, ასევე კანონდარღვევით განხორციელდა 4 მილიონ 933400 ლარის შესყიდვა ასევე უტენდეროდ, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. შემდეგ, ამავე წესით (ანუ კანონდარღვევით) 2 მილიონ 57 100 ლარის საქონელი შეისყიდა პარლამენტმა. ამავე წელს, შპს „ბასკოს“ გადაერიცხა 113600, შპს „საბას“ – 892000. შპს „მოდერნ ვილას“ - 300 ლარი გადაერიცხა ავანსად. ხელშეკრულების თანახმად, მათ შესაბამისი მომსახურება უნდა გაეწიათ პარლამენტისთვის, ხოლო დარჩენილ თანხას შეკვეთის შესრულების შემდეგ მიიღებდნენ. მაგრამ კონტროლის პალატამ ვერ აღმოაჩინა ამ სამ შპს-ის მიერ თუნდაც ავანსად მიღებული თანხების საფასურად გაწეული სამუშაოები. პარლამენტში ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ მოიძებნა. გამოდის, კონტრაქტორმა შპს-ებმა პირობა არ შეასრულეს, კონტრაქტი დაარღვიეს, მაგრამ გოჩა მარტინენკომ არათუ შესაბამის ზომებს მიმართა, რომ მათთვის საჯარიმო სანქციები დაეკისრებინათ. პირიქით გამოდის, მარტინენკომ საბიუჯეტო თანხები აჩუქა ამ შპს-ებს, მათ პარლამენტი „გადააგდეს“ და პასუხი არავინ მოსთხოვა. მარტინენკოს ხელგაშლილობის წყალობით, ბიუჯეტმა სულ 205 000 ლარი დაკარგა. აი, ასე ეპყრობოდა ბურჯანაძის კადრები საბიუჯეტო თანხებს – ხალხის ჯიბიდან ამოღებულ კაპიკებს, როგორც შალვა ნათელაშვილს უყვარს ხოლმე თქმა.

კონტროლის პალატა კანონდარღვევად მიიჩნევს პარლამენტის ხელმძღვანელთა მიერ ქონების ჩამოწერას ყოველგვარი კომისიის შექმნის გარეშე. არადა, ბურჯანაძეს კანონი ავალდებულებდა, ნებისმიერი ამორტიზებული ნივთი კომისიის თანხმობითა და ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე ჩამოეწერა. რეალურად კი, ბურჯანაძეს და მის ხალხს არც კი გახსენებიათ ეს კომისია. ბურჯანაძის აპარატმა 47 ავტომობილი გადასცა ეკონომიკის სამინისტროს გასაყიდად, არადა არანაირი დოკუმენტაცია და ექსპერტიზის დასკვნები, რომ ეს ავტომობილები ჩამოსაწერი იყო, არ არსებობს. 2005 წელს ნაყიდი BMW X5, რომლის საბალანსო ღირებულებაც 60 000 ლარი იყო, ერთი ნახვის მერე გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს გასაყიდად, ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე. 230 000 ლარის ქონება კი საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაეცა. ცხადია, ჩნდება ეჭვები, რატომ უვლიდა გვერდს ბურჯანაძე შესაბამისს კომისიას და რატომ არ უთანხმებდა ჩამოსაწერ ქონებას? რატომ არღვევდა შეგნებულად კანონს? პროკურატურაში ვარაუდობენ, რომ ბურჯანაძე და მისი გუნდი ასე იმიტომ მოქმედებდა, რომ მათთვის სასურველ ფირმებს დროულად მიეღოთ სახელმწიფო დაკვეთები, პარლამენტს მათგან შეეძინა სხვადასხვა დასახელების პროდუქცია. საამისოდ კი აუცილებელი იყო ძველის დროულად ჩამოწერა. კომისიას შეეძლო, დაებლოკა ბურჯანაძე-მარტინენკოს ინიციატივები და იმავე ავტომობილებზე შეიძლებოდა დაედო დასკვნა, რომ არ იყო ჩამოსაწერი.

თუ გამოძიება დაიწყო, როგორც მოგახსენეთ, მარტინენკოს გარდა, პროკურატურა, პირველ რიგში, ორ კაცს მიადგება: პარლამენტის ფინანსური დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, თემურ მურღულიას და სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილ უფროსს, ალექსანდრე ცერცვაძეს, რომელიც ბადრი ბიწაძის უახლოესი მეგობარია. აი, ამ და ამგვარი ხალხით აპირებდა 2008 წელს ბურჯანაძე პარლამენტის დაკომპლექტებას და უარი რომ მიიღო, ქოში უკუღმა ყარა – ოპოზიციაში გადაბარგდა თავისი ბიუჯეტიჭამია ხალხით.

გია გაჩეჩილაძე: „მორალური უფლება არ მაქვს, მას ახლა ვუღალატო!“

მე-3 გვერდიდან

წარმოიდგინეთ, თუ კოალიცია დაიშლება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, უმრავლესობის წევრებმა კი კარგად იციან, რომ პარლამენტში მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით მოხვდნენ და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნება პრობლემატური იქნება, ამიტომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, კოალიციის დაშლა მათთვის მომგებიანი გადაწყვეტილება არ იქნება. მთავარი მაინც ისაა, შეძლებს თუ არა პარლამენტი და ხელისუფლება საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელიც, პირველ რიგში, დამნაშავეებთან კოჰაბიტაციის დასრულებას გულისხმობს.

— თქვენთვის სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა სოციალურმა პრობლემებმა და შეუსრულებელმა დაპირებებმა ჯერ კიდევ ვერ გადაფარა?

— თუ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა დამყარდება, სოციალური მდგომარეობაც მარტივად გამოსწორდება. პოლიტიკური სტაბილურობისთვის კი საჭიროა, სააკაშვილმა ჩადენილ დანაშაულზე პასუხი აგოს. ამით პოლიტიკური ქაოსი დასრულდება და საზოგადოებაც უკეთეს პირობებში იცხოვრებს.

— ეკონომიკის განვითარებას სააკაშვილის დაკავებასთან რატომ აკავშირებთ?

— სამართლიანობა მოითხოვს იმ ლიდერის დასჯას, რომელმაც 9 წლის განმავლობაში მოქალაქეები აწამა. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ციხის კადრებზე არ ვსაუბრობ, ნაციონალური მოძრაობის პერიოდში 200 ათასი ადამიანი მსჯავრდებული იყო, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილმა ტირანული სახელმწიფო მოდელი შექმნა.

1995 წლის პარლამენტში სააკაშვილთან ერთად ვიყავი, კარგად ვიცნობ და ისიც მახსოვს, მშიშარა ბუნების გამო, დეპუტატები რომ დასცინოდნენ. სწორედ მისი ბუნებიდან გამომდინარე დაიწყო მოქალაქეების დათრგუნვა, შეეშინდა, მისთვის ვინმეს სკამის წართმევა არ მოენდომებინა. მსგავსი ტიპის ადამიანები პრეზიდენტად კი არა, განყოფილების გამგედაც არ უნდა ინიშნებოდნენ.

კარგად მახსოვს, 2003 წელს, საზოგადოების განწყობის მიუხედავად, მხოლოდ რამდენიმე პარტია ვეწინააღმდეგებოდით ხელისუფლებაში სააკაშვილის მოყვანას და ხმამაღლა ვაცხადებდი, რომ ეს ქვეყნის წინაშე ჩადენილი გამოუსწორებელი დანაშაული იქნებოდა, მაგრამ მაშინ არავინ დამიჯერა.

— დღეს რა დამოკიდებულება გაქვთ კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ?

— ბუნებრივია, კოალიციის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას მხარს ვუჭერ. გიორგი მარგველაშვილიც ცუდი პიროვნება არ არის და, იმედი მაქვს, გაიმარჯვებს.

წმინდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით, საჭიროა, პრეზიდენტის თანამდებობაზე კოალიციის წარმომადგენელი დაინიშნოს, სხვა შემთხვევაში, ხელისუფლების მიერ აღებული პასუხისმგებლობა ორად გაიყოფა და კოალიციის წევრები საზოგადოებას უსაყვედურებენ, რა ვქნათ, თქვენ არ მოგვეცით საშუალება, ჩვენი პროგრამა ერთიანი ძალით შეგვესრულებინაო. ამიტომ პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრი უნდა იყოს, თუმცა აუცილებელია, ქვეყანაში რეალური ოპოზიციური ძალა გაჩნდეს, რომელიც მმართველ გუნდს გამოაფხიზლებს.

— კოალიციის დატოვების შემდეგ ასეთი ოპოზიციური ძალა თქვენ ხომ არ იქნებით?

— მას შემდეგ, რაც კოალიციას დავტოვებ, პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატი ვიქნები, თუმცა ჯერჯერობით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპოზიციაში გადავალ.

მფარველობს თუ არა „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელ დირექტორს, სამი ედუარდსს არჩილ კბილაშვილი?

როგორ მოაფყუა „დაბი ჯგუფის“ თაღლითმა დირექტორმა არაბი შეიხი და ბიძინა ივანიშვილი, რატომ არ უჯერებს ახალი ხელისუფლება გიორგი სეთურიძეს?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, გიორგი სეთურიძემ „ვერსიას“ ექსკლუზიურად გაუმხილა პროკურატურის იმ მაღალჩინოსნის ვინაობა, რომელიც თითქოს „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელ დირექტორს, სამი ედუარდსს მფარველობს. სინამდვილეში, საქართველოს მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი, რომელმაც კარგად იცის, რომ სამი ედუარდსი ჩვეულებრივი თაღლითია, „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელ დირექტორს მართლაც შეხვდა, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ მთავარი პროკურატურა რუსთაველის გამზირზე, „იმელის“ ყოფილი შენობის გასხვისებასთან დაკავშირებულ საჩივარს განიხილავს.

ჯერ კიდევ 2012 წლის შემოდგომაზე, საპარლამენტო არჩევნებიდან სულ ცოტა ხანში, „ვერსიაში“ ვწერდით, რომ მთავარი პროკურატურა, არაბული „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორის, სამი ედუარდსისა და ქართველი მაღალჩინოსნების თაღლითური სქემის დეტალებს სწავლობდა. გამოძიების დასრულებასა და მტკიცებულებებს „დაბი ჯგუფის“ მმართველი შეიხი ელოდება, რომელმაც 2010 წელს საქართველოში დაწყებული პროექტები შეაჩერა. „დაბი ჯგუფი“ საქართველოში საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრმა შემოიყვანა, რომლის დირექტორი გიორგი სეთურიძეა.

2012 წლის შემოდგომაზე, „ვერსიამ“ ექსკლუზიურად გამოაქვეყნა იმ კორუფციული სქემის დეტალები, რომლითაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან ზუსტად ერთ კვირაში, როდესაც ქართულ ოცნებას ხელისუფლება ჯერ კიდევ ოფიციალურად გადაბარებული არ ჰქონდა, სამი ედუარდსმა, ვანო მერაბიშვილმა და გიგი უგულავამ, პრეზიდენტის განკარგულება თვითნებურად შეცვალეს. თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს უკვე დამტკიცებული კონცეფციის ნაცვლად, 135-მეტრიანი, 40-სართულიანი სასტუმროს პროექტი დაამტკიცეს, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა შეიხის მიერ მოწონებულ პროექტს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აფერისტი სამი ედუარდსი და კორუმპირებული ჩინოვნიკი ვანო მერაბიშვილი, რეალური ინვესტორის ხარჯზე გარიგდნენ და სინამდვილეში, „დაბი ჯგუფმა“, შეიხმა და საქართველოს სახელმწიფომ იზარალა. გიორგი სეთურიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ სამი ედუარდსი ქურდი, მატყუარა და ავანტიურისტია, რაც საქართველოს მთავარ პროკურატურაში ძალიან კარგად იციან. თაღლითურ სქემაში კი ქართველი მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ, რომლებიც სამი ედუარდსს დოკუმენტების გაყალბებაში ეხმარებოდნენ.

მართალია, გამოძიება დაახლოებით 10 თვის წინ დაიწყო, როდესაც გიორგი სეთურიძემ პროკურატურაში სარჩელი შეიტანა, მაგრამ ძიების პროცესი დროში გაიწელა. რამდენიმე დღის წინ, ტელეკომპანია „ტვ 3“-ში გავიდა სიუჟეტი, სადაც გიორგი სეთურიძე აცხადებს, რომ „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელ დირექტორს, სამი ედუარდსს მთავარი პროკურატურის მაღალჩინოსნები მფარველობენ. სეთურიძემ ჟურნალისტს განუცხადა, რომ მათ ვინაობას ჯერ არ დაასახელებდა.

„ვერსია“ საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელს, **გიორგი სეთურიძეს** დაუკავშირდა, რომელმაც დაგვიზუსტა, რომ ამ ტიპის ინფორმაციას უშუალოდ, სამი ედუარდსი ავრცელებს. სინამდვილეში, სწორედ „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ პროკურატურაში მფარველები ჰყავს, რაც მისი მორიგი ტყუილია:

„სამი ედუარდსი ამ თემით ისევ სპეკულირებს და არაბ შეიხს ისევ ატყუებს, რომ მთავარ პროკურატურაში მფარველები ჰყავს. რეალურად, მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი მართლაც შეხვდა სამი ედუარდსს, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ კბილაშვილი მას არ მფარველობს. როგორც იცით, მთავარ პროკურატურაში სარჩელი გვაქვს შეტანილი და, ბუნებრივია, საქმის დეტალებში გარკვევის მიზნით, არჩილ კბილაშვილი „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელ დირექტორთან შეხვედრას მოინდომებდა.

> **კარგად ვიცნობ მთავარ პროკურორს, დარწმუნებული ვარ, მან ყველაზე უკეთ იცის, რომ სამი ედუარდსი თაღლითია. შეიძლება, ედუარდსმა მართლაც სთხოვა კბილაშვილს მფარველობა, რადგან ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს, სწორედ პროკურატურისა და შსს-ს მაღალჩინოსნები მფარველობდნენ, მაგრამ კბილაშვილი არ დაეთანხმებოდა. არ მგონია, არჩილ კბილაშვილს რაიმე ტიპის ურთიერთობა ჰქონდეს ადამიანთან, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მით უმეტეს, ასეთ ადამიანს ხელს ნამდვილად არ დააფარებს“.**

გიორგი სეთურიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ სამი ედუარდსი გაქნილი მატყუარა და გაიძვერაა, რომელიც საკუთარ წარუმატებლობას საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას აბრალებს. მთავარი პროკურატურის მაღალჩინოსნის მფარველობის აფერა სამი ედუარდს იმისთვის სჭირდება, რომ შეიხთან თავი იმართლოს, რომელიც ისევე მოუთმენლად ელოდება გამოძიების დასრულებას, როგორც თავად გიორგი სეთურიძე:

„ამდენი ხანია, გამოძიება ჭიანურდება, არადა, ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით, წაგვართვეს ქონება და ახლა ამ ქონების დასაკუთრების პროცესი მიმდინარეობს. ჩვენი თხოვნაა, პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დააჩქაროს, რათა საკუთარი ქონების დაბრუნება შევძლოთ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მედიის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს სახელმწიფოს სამართლიანობის აღდგენა 6 მილიარდი ლარი დაუჯდება.

დასასრული მე-6 გვერდზე

საინიციატივო ჯგუფმა სააქციო საზოგადოება „ტელევიზია“ დააფუძნა

სააქციო საზოგადოების საინიციატივო ჯგუფმა სააქციო საზოგადოება „ტელევიზია“ ოფიციალურად დააფუძნა. დამფუძნებლებმა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა საზოგადოებას „მე-9 არხის“ მფლობელებისადმი გაგზავნილი მიმართვის მთავარი აქცენტები გააცნეს.

როგორც სააქციო საზოგადოების დამფუძნებლებმა განმარტეს, ტელეკომპანია „მე-9 არხის“ მფლობელებს გადაეცათ ტელევიზიის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ძირითადი საშუალებებისა და ტექნიკის ის ნუსხა, რომლის შეძენის ან იჯარით აღების სურვილი აქვს სააქციო საზოგადოებას.

„პრემიერ-მინისტრთან საუბრისას, მას ჩვენთან სამი შეკითხვა ჰქონდა. პირველი ეხებოდა იმ ჩამონათვალს, თუ რა გვჭირდება, ტელევიზია რომ დაფუძნდეს და იფუნქციონიროს; მეორე კითხვა შეეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა მართონ აქციონერებმა ტელევიზია როგორც ბიზნესი და მესამე კითხვა ეხებოდა იმას, ხომ არ დააზარალებს ეს ახალი ტელევიზია საზოგადოებრივ მაუწყებელს. შევეცადეთ, ჩვენს მიმართვაში, რომელიც მას გავუგზავნეთ 9 სექტემბერს, ძალიან მკაფიოდ გაგვეცა პასუხები ამ კითხვებისთვის“, — განაცხადა სააქციო საზოგადოების ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ია ანთაძემ. მისივე თქმით, სააქციო საზოგადოება, პრემიერ-მინისტრის თანხმობის შემთხვევაში, მზადაა, დაიწყოს მზადება შემდგომი ეტაპისთვის.

სააქციო საზოგადოების დამფუძნებლისა და დირექტორის, ვასილ მაღლაფერიძის თქმით, სააქციო საზოგადოება მზად არის, ნებისმიერი ფორმით იმ მატერიალური ქონების მიღებისთვის, რაც ტელევიზიის შექმნისთვისაა აუცილებელი, იქნება ეს იჯარა, წილი თუ შესყიდვა.

„თუკი პრემიერის მხრიდან თანხმობა იქნება, ჩვენ დავიწყებთ შეძენის პროცედურებს, პარალელურად, დავიწყებთ კონტენტზე მუშაობას, ტელევიზიის ფორმაზე მუშაობას და, რაც მთავარია, აქციების საჯარო შეთავაზებისთვის მზადებას. ორივე მიმართულებით მუშაობისათვის მზად ვართ და სამეთვალყურეო საბჭოც პირველ ეტაპზე სწორედ ამ ნიშნით შეირჩა, მასში არიან ორივე მიმართულებით საქმის სპეციალისტები“, — აღნიშნა ვასილ მაღლაფერიძემ.

კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია, მცირებიუჯეტიანმა ტელევიზიამ მოიპოვოს სარეკლამო შემოსავლები, ია ანთაძემ განაცხადა, რომ ქართულ ტელესივრცეში ამის არაერთი შემთხვევა ყოფილა და მაგალითად „მაესტრო“ და „რუსთავი 2“ მოიყვანა, როდესაც ისინი მაუწყებლობას იწყებდნენ, ასევე ტელეკომპანია „კავკასიაც“.

„თავმდაბლობას არ გამოვიჩენთ და გეტყვით — ჩვენ ნამდვილად გვაქვს ამბიცია, რომ გვაქვს ისეთი იდეები, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ სარეკლამო ბაზრის 5-6%-ს მოიზიდავს, არ ვამბობთ, რომ პირველივე თვეებში, მაგრამ 6-12 თვის შემდეგ“, — აღნიშნა ია ანთაძემ.

სააქციო საზოგადოება „ტელევიზიის“ დამფუძნებლები არიან ია ანთაძე, ცოტნე გამსახურდია და ვასილ მაღლაფერიძე. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა აღნიშნეს ამ მოვალეობას მაღლაფერიძე, დაახლოებით, სამი თვის განმავლობაში შეასრულებს, სანამ აქციების საჯარო შეთავაზება გაკეთდება. შემდეგ კი, იგი შემოქმედებითი კუთხით გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას ტელევიზიაში.

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს, მისი წევრები არიან: თამაზ ავალიშვილი — მათემატიკოსი, პროგრამისტი; რამილია ალიევა — ჟურნალისტი; დავით ზილფიმიანი — ფიზიკოსი, პროფესორი; ნინო ზურიაშვილი — გამომძიებელი ჟურნალისტი, სტუდია „მონიტორის“ ხელმძღვანელი; გოგი ლოლაძე — საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; ნატა მურვანიძე — მსახიობი; მერაბ რატიშვილი — მწერალი, ყოფილი პოლიტპატიმარი; პაატა ქურდაძე — მწერალი; მამუკა ყუფარაძე — ჟურნალისტი, სტუდია რეს ხელმძღვანელი. მამუკა ყუფარაძე ასევე არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

„ინტერპრესნიუსი“

რუსთაველის გამზირზე „ვენდის“ პირველი რესტორანი გაიხსნა

მულტინაციონალური კომპანია ამერიკული რესტორნების ქსელის განვითარებას საქართველოში ვისოლ ჯგუფთან ერთად იწყებს

იცი, რუსთაველის გამზირზე, „სმარტის“ გვერდით, მულტინაციონალურმა კომპანია „ვენდიმ“ ვისოლ ჯგუფთან ერთად, „ვენდის“ პირველი რესტორანი რომ გახსნა? ყურმოკვრით მაინც გაიგებდი, რადგან ეს მოვლენა ნამდვილ დღესასწაულად იქცა — თეთრი და წითელი ბუშტები, „ვისოლისა“ და „ვენდის“ ნარმომადგენლები, ცოცხალი მუსიკა ბენდის შესრულებით, უამრავი მოწვეული სტუმარი, მათ შორის ცნობილი ადამიანებიც და ბევრი დაუპატიჟებელიც — ისინი, ვინც უბრალოდ, გაიარა იმ წუთებში რუსთაველზე და ისინი, ვინც იცოდა ამ სიახლის შესახებ და სულმოუთქმელად ელოდა „ვენდის“ პირველ რესტორანს თბილისში. მთავარი დამავიწყდა — ამერიკული რესტორნების ქსელის სახის, პატარა ვენდის არაერთ პროტოტიპს ნახავდი აქ — ჟღალთმიან პეპისმაგვარ გოგონებს, ფუშფუშა კაბებით, ჭრელი წინდებით და ღიმილიანი სახეებით, რომლებიც ცდილობდნენ, ყველასთვის დადებითი განწყობა შეექმნათ. ყველაზე კარგი განწყობა პატარებს ჰქონდათ, რომლებიც სტუმრებს ფეხებში ედებოდნენ და ბუშტებს დასდევდნენ. ასე, მუსიკისა და ჟრიამულის ფონზე, გაიხსნა „ვენდის“ პირველი რესტორანი თბილისში.

რუსთაველზე, ორ სართულზე, 1000 კვ.მეტრამდე ფართობზე განთავსებული „ვენდის“ ბურგერების რესტორანს, კაფეს, სადღესასწაულო ცენტრს და სათამაშო ზონას მოიცავს და „ვენდის“ ქსელში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე დიდია. შესაბამისად, ჟღალთმიანი სიმბოლოც, აქ ყველაზე უხვადაა. სიმბოლოები, რესტორნის გახსნის ცერემონიასაც არ აკლდა. მაგალითად, სიმბოლური იყო, რომ წითელი ლენტი, „ვისოლისა“ და „ვენდის“ წარმომადგენლებთან ერთად, ფონდ „იავნანას“ დამაარსებელმა, მსოფლიოში ცნობილმა ტენორმა პაატა ბურჭულაძემ გახსნა პატარა ობოლ დიტოსთან ერთად — „ვენდის“ დამაარსებელ დევიდ ტომასს, დაობლების შემდეგ, 12 წლამდე თავი მსგავსი ტიპის რესტორანში მუშაობით გაჰქონდა. მოგვიანებით, მან თავად შექმნა რესტორნების ქსელი, რომელსაც თავისი მეხუთე შვილის სახელი დაარქვა და „ვენდის“ ყველა რესტორანში, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, ნამდვილი დღესასწაული შექმნა.

ეს და კიდევ მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქტისა თუ მომსახურების მიწოდების სურვილია მთავარი მიზეზი, რამაც ქართული და ამერიკული კომპანიები პარტნიორებად აქცია. ამის მაგალითია, თუნდაც მათი სლოგანები — „ხარისხი, რომელსაც ვენდობი“ („ვისოლი“) და „ხარისხი ჩვენი რეცეპტია“ („ვენდი“).

საერთო მიზნებისა და ღირებულებების შესახებ, „ვენდის“ გახსნის ღონისძიებაზე „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა **სოსო ფხაკაძემ** ისაუბრა: **„გვეამაყება, რომ ვენდის“ განვითარება ექსკლუზიურად „ვისოლს“ ერგო წილად საქართველოსა და აზერბაიჯანში. „ვენდისთვის“ ისევე, როგორც ჩვენთვის, ხარისხი ბიზნესის წარმოების ქვაკუთხედია. „ვენდის“ დამაარსებლისთვის საზოგადოებაზე ზრუნვა მთავარი ღირებულება იყო. „ვისოლმა“ ეს ტრადიცია დიდი ხანია დანერგა და არ ვუღალატებთ მას. საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაცია OPIC-ის საქართველოში ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სტრატეგიის ფარგლებში, „ვენდის“ ფართო ქსელს შევქმნით. პირველ რესტორანში 90 ადამიანი უკვე დასაქმდა. ქსელის გაფართოების შემდეგ, ასობით სამუშაო ადგილი გაჩნდება, რაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ასე მნიშვნელოვანია“.**

ამერიკული რესტორნის გახსნას „ვენდის“ საერთაშორისო პრეზიდენტი დარელ ვან ლიგტენი, ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და თბილისის მერი, გიგი უგულავა დაესწრნენ. **დარელ ვან ლიგტენმა** განაცხადა: **„მოხარული ვართ, რომ „ვენდის“ რესტორნების ქსელის განვითარებას საქართველოში ისეთ მსხვილ ბიზნესპარტნიორთან ერთად ვახდენთ, როგორიც „ვისოლია“. საქართველოს დინამიურად მზარდ ბაზარზე შემოსვლა „ვენდის“ აღმოსავლეთ ევროპაში განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია და მიუთითებს, რომ გვჯერა საქართველოს უკეთესი მომავლის“.**

რიჩარდ ნორლანდმა, რომელსაც „ვენდის“ პირველი რესტორნის პირველი სტუმრის სტატუსი მიენიჭა, ისაუბრა, რომ „ვენდის“ რესტორნების ქსელი ძალიან პოპულარულია აშშ-ში, მისი დამაარსებელი კი, ალბათ იამაყებდა თბილისური ვენდის“ ნახვისას: **„ეს მოვლენა გახლავთ იმის დასტური, რომ აშშ-ს სურს და შეუძლია, საქართველოში ბიზნესის განვითარებაში მიიღოს მონაწილეობა. ამ პროექტის განხორციელება მოხერხდა იმ 19-მილიონიანი კრედიტის მეშვეობით, რომელიც აშშ-ს საფინანსო ორგანიზაციამ გასცა და ზოგადად, საქართველოს განვითარებას ემსახურება“.**

თბილისელებისთვის „ვენდი“ საყვარელი ადგილი იქნება იმიტომ, რომ აქ გართობის, დასვენებისა და გემრიელად დანაყრების ყველა პირობაა: უგემრიელესი საფირმო კერძები, საქონლისა და ქათმის ხორცის ბურგერები, „ჩილი“, ბოსტნეულის სალათები, გამომცხვარი კარტოფილი... ყველაფერი შეკვეთისას მზადდება უმაღლესი ხარისხის პროდუქტით... პრემიუმკლასის 15 სახეობის იტალიური „ტრუჩილოს“ ყავა და დესერტები. რესტორნის თანამედროვე ინტერიერი, ცნობილმა ამერიკულმა დიზაინერულმა კომპანიამ ქართულ Designbureau.ge-სთან ერთად შექმნა. გარემო ისეთია, დაგამშვიდებს, თავს კომფორტულად გაგრძნობინებს და წასვლის სურვილს დაგიკარგავს. „ვენდის“ დატოვების სურვილი კი, ყველაზე მეტად ალბათ, პატარებს გაუქრებათ — აქ, ბავშვთა გასართობი და სადღესასწაულო ცენტრიცაა და სათამაშო ზონაც. მალე, „ვენდის“ რესტორანი არა მხოლოდ თბილისელებისთვის იქნება საყვარელი ადგილი. „ვისოლში“ ამბობენ, რომ გეგმა ასეთია — მომავალი 5 წლის განმავლობაში, „ვენდის“ 15 რესტორანი, საქართველოს პატარა ვენდის ჭორფლივით მოედება.

ნინო ლურსმანაშვილი

მფარველობს თუ არა „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელ დირექტორს, სამი ედუარდსს არჩილ კბილაშვილი?

მე-5 გვერდიდან

სახელმწიფო რა შუაშია, არ მესმის? ჩვენ სახელმწიფოს კი არა, კონკრეტულ შპს-ს ვედავებით, რომელიც საქართველოშია რეგისტრირებული და კონკრეტულ პირს — სამი ედუარდსს, რომელიც საქართველოს მოქალაქე და სისხლის სამართლის დამნაშავეა. რაც მთავარია, „იმელის“ ყოფილი შენობის პროექტი 6 მილიარდი კი არა, მილიარდიც არ ღირს. წარმოუდგენელია, კომერციული პროექტი ან თუნდაც ინვესტიცია მილიარდი დაჯდეს, თუ ის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ან რეგიონალური მნიშვნელობის, უმსხვილესი პროექტი არ არის“.

გიორგი სეთურიძის თქმით, სამი ედუარდსმა არა მარტო არაბი შეიხი, არამედ — საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილიც მოატყუა. მეტიც, ისინი ერთმანეთსაც კი შეახვედრა:

> **„შეხვედრა ორი თვის წინ შედგა, როდესაც არაბი შეიხი საქმიანი ვიზიტით თურქეთში იმყოფებოდა. სამი ედუარდსმა შეიხს უთხრა, რომ ბიძინა ივანიშვილს მასთან შეხვედრა სურდა, ამავდროულად, პრემიერ-მინისტრსაც იგივე განუცხადა, თითქოს შეიხი გეგმავდა საქართველოში ვიზიტს. შედეგად, თურქეთის გავლით, შეიხი საქართველოში მართლაც ჩამოვიდა და ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდა, სამი ედუარდსის დადგმულ სპექტაკლს კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და მთავრობის სხვა წევრებიც ესწრებოდნენ. ყველა გავაფრთხილე, რომ ედუარდსი თაღლითი და მატყუარაა, მაგრამ არ დამიჯერეს.**

სხვათა შორის, თავის დროზე, იგივეს ვეუბნებოდი ვანო მერაბიშვილსაც, მაგრამ ის რომ არ მიჯერებდა, ჩემთვის გასაგები იყო, რადგან მერაბიშვილი ედუარდსს მფარველობდა, მხოლოდ ის მიკვრის, ესენი რატომ არ მიჯერებენ!“

„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ „დაბი ჯგუფი“ საქართველოში, 2007 წელს შემოიყვანეს, რომელსაც კორ სტანდარტ ბანკის, „ტელეკომ საქართველოსა“ და რუსთაველის გამზირზე, „იმელის“ ყოფილ შენობაში, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის პროექტი უნდა განეხორციელებინა. 2008 წლის გაზაფხულზე, ამ სასტუმროს პროექტი არაბულმა „დაბი ჯგუფმა“, რუსული „კაპიტალ ვოსტოკისგან“ 22 000 000 აშშ დოლარად შეიძინა, მოსამზადებელი სამუშაოებიც დაიწყო, მაგრამ აგვისტოს ომის გამო პროექტი შეჩერდა. აგვისტოს ომის შემდეგ, „დაბი ჯგუფი“ სერიოზულად ფიქრობდა, გაეგრძელებინა თუ არა ინვესტიციები საქართველოში, მაგრამ ჯგუფის პატრონებს პროექტების შეჩერება გიორგი სეთურიძემ გადააფიქრებინა. ამის შემდეგ, „დაბი ჯგუფმა“ საქართველოს ეკონომიკაში კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი აშშ დოლარი ჩადო, ძირითადი აქცენტი კორ სტანდარტ ბანკისა და სატელეკომუნიკაციო პროექტზე გადაიტანეს.

„ტელეკომ საქართველოს“ ლიცენზიისთვის კი „დაბი ჯგუფმა“ ჯერ 12 000 000 აშშ დოლარი გადაიხადა, ამის შემდეგ წინა მოსამზადებელ სამუშაოებში, დამატებით 10 000 000 აშშ დოლარიც დახარჯა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს პროექტი შიდა პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მაინც დახურეს. საქართველოს ინტერნეტ-ბაზარზე, სააკაშვილის ხელისუფლება ისე ძლიერად ლობირებდა კონკურენტ კომპანიებს, რომ არაბმა შეიხებმა ასეთ პირობებში მუშაობა გადაიფიქრეს. სეთურიძის თქმით, ფაქტობრივად, „დაბი ჯგუფმა“ ამ პროექტში 22 000 000 შშ დოლარი დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ, არსებობს ლიცენზია, რომელიც აღარაფერს წარმოადგენს.

„ვერსიაში“ იმასაც ვწერდით, რომ „იმელის“ ყოფილ შენობაში, სასტუმროს პროექტზე მუშაობა 2009 წლის ზაფხულში განახლდა. გიორგი სეთურიძემ დაფინანსების გეგმა შეიმუშავა, მოლაპარაკებები რამდენიმე ევროპულ ბანკთან გამართა, რომლებიც მზად იყვნენ, პროექტი დაეფინანსებინათ. როდესაც ეს ყველაფერი დამტკიცდა, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სწორედ იმ დროს გააძლიერეს ბიზნესში ჩარევა. ამას ისიც დაერთო, რომ „დაბი ჯგუფის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სამი ედუარდსი იმ პერიოდში გამოჩნდა, რომელსაც საკმაოდ უარყოფითი იმიჯი აქვს აბუ-დაბიში. ცნობილია, რომ სამი ედუარდსი „ატკატჩიკია“, მაგრამ რატომღაც მას დაავალეს, რომ ამ პროექტისთვის ფული ჩაედო. სამი ედუარდსს პროექტების დასაფინანსებელი თანხები არ ჰქონდა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან კორუფციულ გარიგებაში შესულიყო. მასთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს ვანო მერაბიშვილს, რომელსაც საკმაოდ ხშირად სტუმრობდა კიდეც. მეტიც, სამი ედუარდსს ვანო მერაბიშვილის მანქანა ემსახურებოდა. მოგვიანებით, სამი ედუარდსს თბილისის მერი გიგი უგულავაც დაუკავშირდა.

„დაბი ჯგუფს“ არაბეთის გაერთიანებული საამიროების შეიხების — ალ ნაჰაიანების გვარი ფლობს. მათ შორისაა, შეიხი ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანი. გიორგი სეთურიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ სამი ედუარდსის კუთვნილი კომპანია „დაბი კონტრაქტინგი“, აბუ-დაბიში, ალ ნაჰაიანის ფრთის ქვეშ მუშაობს. გიორგი სეთურიძემ აგვიხსნა, რომ არაბული საფინანსო სისტემის მიხედვით, წელიწადში ერთხელ, ერთი ფრთის ქვეშ გაერთიანებული კომპანიები შეიხს ანგარიშს აბარებენ და დეტალურად უხსნიან, რამდენია მათი წლიური მოგება. როგორც წესი, შეიხს ამ კომპანიების მოგება არ აინტერესებს და ის მათგან წილს არ იღებს, მაგრამ ამ მოგებას სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად იყენებს. სამი ედუარდსმა ისეთი ანგარიში წარადგინა, რომლითაც 160 000 000 აშშ დოლარის წლიური მოგება აჩვენა, ამიტომ შეიხმა გადაწყვიტა, რომ საქართველოში განსახორციელებელი პროექტები სწორედ მას დაეფინანსებინა. სამი ედუარდსს კი ანგარიშში წარდგენილი თანხა არ აღმოაჩნდა, რადგან ფულის ნაცვლად, მიწის ნაკვეთი ჰქონდა ჩადებული, რომელიც დუბაიში შეიძინა, ედუარდსმა მიწის ნაკვეთი ვერ გაყიდა და თავისი თაღლითობის დაფარვას შეეცადა. თავდაპირველად, საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასა და საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა გააფუჭა, შემდეგ აბუ-დაბიში ჩავიდა და შეიხს უთხრა, რომ „დაბი ჯგუფის“ საქართველოში წარმომადგენლებს, ქვეყნის ხელისუფლებასთან ცუდი ურთიერთობა აქვთ. როდესაც გამოძიების შედეგად, ქართველი სამართალდამცველები კონკრეტული ფაქტებით დაამტკიცებენ, რომ სამი ედუარდსი, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა თაღლითები არიან, არაბი შეიხი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

მიხეილ მაჭავარიანი: „გვაქვს ინფორმაცია, რომ უმრავლესობა კიდევ ორი ნაციონალი დეპუტატის გადაბირებას ცდილობს!“

ერუსუდან შელია
557-100-768

„ვერსიასთან“ საუბარში საპარლამენტო უმცირესობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი ხელისუფლებას უმოქმედობაში სდებს ბრალს და წინასაარჩევნო პროცესსაც აფასებს.

— უმრავლესობამ საშემოდგომო სესიაზე ოთხი საკონსტიტუციო საკითხის განხილვა დაიწყო: ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანა, რომელიც, როგორც ჩანს, კოალიციისთვის სასწრაფო საკითხს არ წარმოადგენს, ორმაგი მოქალაქეებისთვის პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნის შესაძლებლობა, პრემიერის უფლებების გაზრდა, რასაც, გარკვეულწილად, ჩვენც ვემხრობით და საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად 2/3-ის 3/4-მდე დაწევა. ეს უკანასკნელი საკითხი უმრავლესობას ყველაზე მეტად ადარდებს, რადგან მისი მიღება ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე ანუ მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე უნდა. „ქართული ოცნება“ ამით ზუსტად იმას აკეთებს, რის გამოც ოპოზიციაში ყოფნისას გვაკრიტიკებდა — ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე იღებს ცვლილებას, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგოს.

— თქვენი ბრალდება უსაფუძვლო ხდება იმ ფონზე, როცა ცვლილების მიღების შემთხვევაშიც კი, გადაწყვეტილების მისაღებად უმრავლესობას 100 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება და გადაწყვეტილებას თქვენს გარეშე ვერ იღებს.

— 2/3-ის შემთხვევაში საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში მისაღებად 112 ხმა იქნებოდა საჭირო, თუმცა სწორედ იმ ფონზე, როცა მიუხედავად ჩვენგან გადინებული დეპუტატებისა, კოალიცია პარლამენტში ას ხმას მაინც ვერ აგროვებს, გვაქვს ინფორმაცია, რომ კიდევ ორი ნაციონალი დეპუტატის გადაბირებას ცდილობენ.

— უკვე იცით, სექტემბრის ბოლომდე ვინ აპირებს თქვენი რიგების დატოვებას?

— არ ვიცი, ვისთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, მაგრამ ვიცით, რომ ეს პროცესი დაწყებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კენჭისყრაში 3/4-ის საკითხს არ დააყენებდნენ, რადგან თუ ეს ინიციატივა საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩაფლავდა, „ოცნება“ საკმაოდ წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება. ჩვენს რიგებში დარჩენილმა 52-მა დეპუტატმა უკვე იმდენ წნეხს გაუძლო, უკვე ვერავისზე ვეჭვობ.

— ვარაუდობენ, რომ პარტიიდან გადინების პროცესი განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა აქტიურ ფაზაში, რადგან პოლიტიკურად დამარცხებულ ძალასთან ყოფნის სურვილი, მით უმეტეს, მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, თქვენს გუნდში ბევრს აღარ აქვს.

— პოლიტიკურად დავმარცხდით თუ არა, შეცდომებზე პასუხისმგებელი ყოველი ჩვენგანი უნდა გახდეს. სწორედ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე შევაფასებთ, რა გააკეთა ნაციონალურმა მოძრაობამ ცხრა წლის განმავლობაში და რა შეძლო კოალიციამ ოთხი წლის მანძილზე. ზეწოლაზე თუნდაც ის ფაქტიც მიანიშნებს, რომ ნაცმოძრაობის წევრების მიმართ აბსოლუტურად უსაფუძვლოდაა აღძრული სისხლის სამართლის საქმეები. თენგიზ გუნავასა და ბაჩო ახალაიას მაგალითზეც კარგად გამოჩნდა, რომ პროცესი აბსოლუტურად კანონდარღვევით მიმდინარეობს — მოწმეები სასამართლო პროცესებიდან გარბიან ან აცხადებენ, რომ განსაკუთრებული დანაშაული ბრალდებულს არ ჩაუდენია.

— თუმცა ბევრმა ეს კოჰაბიტაციის ნაყოფად მონათლა, რამაც საზოგადოებაში უკმაყოფილების ზრდა გამოიწვია...

— სოციოლოგიური კვლევის შედეგებს მუდმივად ვამოწმებ, ამიტომ კარგად ვიცი, რომ საზოგადოების ყველაზე დიდი პრობლემა დღეს უმუშევრობა, უფულობა და დაპირებების შეუსრულებლობაა. სამართლიანობის აღდგენის საკითხმა კი ჩამონათვალში მხოლოდ მეათე ადგილზე გადაინაცვლა. ბუნებრივია, საზოგადოების ნაწილს ნაციონალური მოძრაობა დღესაც აღიზიანებს, მაგრამ, მერწმუნეთ, რაც დრო გავა, ჩვენს გაკეთებულ საქმეს ეს ხალხიც დააფასებს. მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ციხის კადრებისთვის არავინ დასჯილა. ლადო ბედუკაძეს არ უთქვამს, ვინ ავალებდა პატიმრების წამებას. შესაძლოა, ბიზნესმენებზე ზეწოლა მართლაც ხორციელდებოდა, თუმცა ესეც იმისთვის იყო საჭირო, რომ პენსია გაზრდილიყო, სოციალურად დაუცველთათვის დახმარებები მიგვეცა და ქვეყანა წინ წასულიყო.

— პრემიერის განცხადებით, უახლოეს მომავალში გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნება ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ ბიზნესმენებთან დადებულ კაბალურ ხელშეკრულებებსაც. მსგავსი მეთოდებით ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა დღესაც გამართლებულად მიგაჩნიათ?

— კი ბატონო, გაიხსნას, ვერ ვხედავ ამაში პრობლემას, პირიქით, ჩემთვისაც საინტერესოა, რა დოკუმენტებზეა საუბარი. დაველოდოთ, რა იქნება.

— მანამდე კობა დავითაშვილი კომპარტიასთან ერთად, ნაცმოძრაობის აკრძალვას ითხოვს და საკითხი პარლამენტში განხილვასაც ელოდება...

— საინტერესოა, კობა დავითაშვილი იმ ნაციონალური მოძრაობის აკრძალვას ითხოვს, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია? მსგავსი განცხადებები მხოლოდ იაფი პოლიტიკური სვლაა რადიკალური ამომრჩევლის მოსაზიდად, რაზეც კომენტარის გაკეთებაც კი არ ღირს. ვინც არ უნდა მოითხოვოს ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა, როგორც არ უნდა ჩაზნიქონ ბათუმში სკამები, ბათუმის განვითარება ყოველთვის ჩვენთან იქნება ასოცირებული. რაც უნდა ბევრი ისაუბრონ გზების მშენებლობაზე, გრანდიოზულ ინფრასტრუქტურულ მშენებლობებს საზოგადოება ყოველთვის ჩვენთან დააკავშირებს. ფაქტია, დღეს ყველა პროექტი შეჩერებულია. დავით ბაქრაძე სწორედ ისეთ სოფლებში დადის, სადაც ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს გაზის მილები შევიყვანეთ, თუმცა მას შემდეგ სოფლის სრულად გაზიფიცირებისთვის არაფერი გაკეთებულა. დიახ, წინასაარჩევნოდ სწორედ იმაზე ვართ ფოკუსირებულნი, რომ საზოგადოებას ვაჩვენოთ — ჩვენს მიერ დაწყებული სასიცოცხლო პროექტები გაიყინა და ხელისუფლებაში მის გაგრძელებაზე დღეს არავინ ფიქრობს. საზოგადოებისთვის იმის ჩვენებაც აუცილებელია, რომ გიორგი მარგველაშვილი მთავრობის გაკონტროლებას ვერ შეძლებს და ვერც უხვად გაცემული დაპირებების შეუსრულებლობისთვის მოსთხოვს ვინმეს კატეგორიულ პასუხს.

— თუმცა არც დავით ბაქრაძის კამპანიაა არჩევნებში გამარჯვებაზე ორიენტირებული და ისიც გასაგებია, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად დაფიქსირებას ცდილობთ, მაგრამ თუ ნინო ბურჯანაძემ მეორე ადგილზე გასვლა შეძლო, პარლამენტში თქვენი ყოფნა ლოგიკური იქნება?

— ჩვენ რეალისტები ვართ, ამიტომ არჩევნებში დამარცხების შემდეგ მთავარ ოპოზიციურ ძალად დამკვიდრებას ვცდილობთ. ნინო ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლის ნაკლებად მჯერა, რადგან ჩვენი კონკურენტი დღეს მხოლოდ გიორგი მარგველაშვილია. მეორე ტურის ჩატარების შანსი კი საკმაოდ მაღალია, რადგან საზოგადოება კარგად ხვდება, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელსაც მინისტრები რეგიონებში ხელჩაკიდებულები დაატარებენ, მთავრობას ვერ მოსთხოვს, ხალხს რასაც დაპირდი, პირნათლად შეასრულეო.

— არც კოჰაბიტაცია დასრულდება 27 ოქტომბერს?

— კოჰაბიტაციის დასრულების დაპირებაც კოალიციის მხრიდან შემოგდებული მორიგი სიცრუეა, რადგან ეს მომავალში ვერ მოხერხდება. მაინტერესებს, თუ თვითმმართველობის არჩევნებში რომელიმე რეგიონში „ქართული ოცნების“ გარდა, სხვა პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს, გიორგი მარგველაშვილი მასთან არ ითანამშრომლებს? ეს ველური განცხადებაა, რადგან ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთხელ დაყოფა კი არა, გაერთიანება სჭირდება. თუ საარჩევნო სტილი არ შეიცვალა და ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილს ხელი არ მოკიდა, ამ კაცს მხარს თუ არ დაუჭერთ, არც ერთ დაპირებას არ შეგისრულებთო, საკმაოდ დიდი ალბათობით, კოალიციის კანდიდატს არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდება. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს. რაც უნდა ვილაპარაკოთ, რომ ერთ კაცზე დამოკიდებული მთავრობა არ გვჭირდება, თურქეთში ძირეული ცვლილებები ყოველთვის ათათურთქთან იქნება დაკავშირებული, რადგან სწორედ მან შექმნა ეპოქა. საქართველოსაც ასეთი ლიდერი სჭირდება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა „არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია“ დაამტკიცა

2013 წლის 27 ოქტომბერს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ამასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა „არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა. ბრძანება ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო პატივს სცემს თითოეული ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას, განახორციელოს თავისუფალი არჩევანი. ძალზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მოქალაქეებმა თავიანთი საარჩევნო უფლება გამოიყენონ უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში, სადაც არ იქნება არავის, მით უმეტეს, შსს-ს მოსამსახურეების მხრიდან ზეწოლა და ძალადობა. შსს-ს თითოეული თანამშრომელი უნდა აცნობიერებდეს, რომ არჩევნების პროცესისთვის ნებისმიერი ფორმით ხელის შეშლა ისჯება კანონით. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევებში მოთხოვნილი და გამოყენებული სანქციები დარღვევის პროპორციული იყოს.

სამინისტროს მიერ შემუშავებული ინსტრუქცია შექმნილია NDI-სა და „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის“ რეკომენდაციების საფუძველზე. დოკუმენტი განსაზღვრავს წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს, სამინისტროს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე მათთვის კანონით დადგენილ აკრძალვებსა და შეზღუდვებს. გარდა ამისა, ინსტრუქცია ითვალისწინებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ პირთა მიმართ მოთხოვნილი და გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები იყოს სამართალდარღვევის პროპორციული, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას მსგავსი დარღვევების პრევენცია.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელებს დაევალათ, უზრუნველყონ ადმინისტრაციულ შენობებში ინსტრუქციის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება და პირადი შემადგენლობისთვის გაცნობა.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

სერგო რატიანი: „განსხვავებული პოლიტიკური ხედვები არ შეიძლება ეხებოდეს საკითხებს, რომლებიც საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს წარმოადგენს!“

„თანამედროვე სახელმწიფოს წარმატების ერთ-ერთ საზომს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ბევრ ადამიანს უჩნდება სურვილი, გახდეს ამ ქვეყნის მოქალაქე“, — აღნიშნული განცხადებით ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი სერგო რატიანი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, რომლის საფუძველზეც თურქეთის 936 მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა.

როგორც რატიანი აცხადებს, გაკვირვებას იწვევს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ნეგატიური დამოკიდებულება და შეფასება პრეზიდენტის ამ ნაბიჯთან დაკავშირებით.

„მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეობის სურვილი უჩნდება მათ, ვისთვისაც საქართველო წინაპრების სამშობლოა, ქართული კი წინაპრების ენა, რომელიც შემოინახეს და საქართველოს მიმართ გარკვეული კულტურული იდენტობა აქვთ. ამასთან, აქვთ საქართველოში საქმიანი ურთიერთობები. სამწუხაროა, რომ დღეს გვიწევს ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პირების დამოკიდებულებას ქართული სახელმწიფოს მიმართ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ხალხი ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენი კულტურისა და ენის პოპულარიზაციის, კულტურათაშორის ურთიერთგაგებისა და დიალოგის, კეთილმეზობლობის კიდევ უფრო განვითარების საქმეში“, — აღნიშნა სერგო რატიანმა.

მისივე განცხადებით, საკითხს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც სწავლობდა და მიხეილ სააკაშვილს შესაბამისი გადაწყვეტილება 1-2 დღეში არ მიუღია. **„სამწუხაროა, რომ დღეს უნდა შევახსენოთ ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს მარტივი ჭეშმარიტება, განსხვავებული პოლიტიკური ხედვები არ შეიძლება ეხებოდეს საკითხებს, რომლებიც საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს წარმოადგენს“,** — დასძინა სერგო რატიანმა.

„ინტერპრესნიუსი“

„თუ ასე გაგრძელდა, ივანიშვილს იმ თავისი სასახლის შუშასაც ჩაუმტვრევენ, და საქართველოშიც აღარ დაედგომება!“

რატომ მიიჩნევს ივანიშვილის რუსული სპექტაკლის მესამე აქტად და ვის უჭერს მხარს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის პოსტზე ირაკლი ლომოური

ნინო კომახიძე
599-95-33-16

2 სექტემბრიდან საზოგადოებრივ მაუწყებელში მრჩეველთა ჯგუფი მუშაობს, რომელსაც, წესითა და რიგით, რჩევები არხის გენერალური დირექტორისთვის უნდა მიეცა. თუმცა ბოლო რამდენიმე თვეა, ვიდრე არხის ხელმძღვანელის გვარის დამახსოვრებას მოვასწრებთ, ბორდი პოსტიდან მანამ უშვებს. ახალი გენდირექტორის პოსტზე ახლაც კონკურსია გამოცხადებული, „ვერსია“ კი არხსა და, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მწერალ ირაკლი ლომოურს ესაუბრება, რომელიც მრჩეველთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრია.

— საპრეზიდენტო არჩევნების წინ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორი გიორგი ბარათაშვილი კიდევ ერთხელ გადააყენეს. ამ ყველაფრის უკან მართლა ნაციონალური რევანში დგას?

— ჯერ ვითარებაში კარგად არ ვარ ჩახედული, რადგან მაუწყებელზე ახალი მისული ვარ, თუმცა ჩემს სუბიექტურ მოსაზრებას მოგახსენებთ. აქ არათუ რევანშზეა საუბარი, ძველი სამეურვეო საბჭო კვლავ ნაციონალების ინტერესებს ემსახურება. მათ უკვე მეოთხე გენდირექტორი გადააყენეს, რომელიც მათივე დანიშნული იყო. თან ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობას არ იღებენ და არც იმას აღიარებენ, რომ შექმნილი ვითარება მათივე არაკომპეტენტურობის ბრალია! ეს საბჭო პოლიტიკურად ანგაჟირებული და მიკერძოებულია და ჩემი აზრით, მას მაუწყებლის ხელმძღვანელობის ბედ-იღბლის ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

— ამბობენ, გენდირექტორის პოსტზე, შესაძლოა, ისევ ხათუნა ბერძენიშვილი დაბრუნდეს. ეს რეალობაა?

— ასეთი ჭორი მეც გავიგე. იცით, რა, თუ სამეურვეო საბჭო ამას გააკეთებს, ე.ი. მათ მიზნად საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩამოშლა და პარალიზება ჰქონიათ. ამას ისეთი პროტესტი მოჰყვება ტელევიზიის თანამშრომლებისა და ფართო საზოგადოებისგან, რომ არხი, უბრალოდ, ვეღარ იმუშავებს!

— ამ საბჭოში, საერთოდ, როგორ მოხვდით, ჯგუფი ვინ და როგორ დააკომპლექტა?

— იდეა მაუწყებლის თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფს ეკუთვნოდა. კოტე ჯანდიერი არხზე დოკუმენტური ფილმების დირექტორია. ჰოდა, მითხრა, ასეთი საბჭო უნდა შეიქმნას და პოლიტიკურად არაანგაჟირებული ადამიანებით დაკომპლექტდესო. ახლა სიტუაცია ისე აირია, ვის რა უნდა ვურჩიოთ, თავადაც არ ვიცი. ოფიციალურად, გენერალური დირექტორის მრჩევლები ვართ.

— ისე, სამწუხაროდ, ყველა ახალი ხელისუფლება, პირველ რიგში, უზენაეს სასამართლოსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს ურტყამს ხოლმე. შეგიძლიათ, ახსნათ — რატომ?

— ეს დიდი უბედურება და მენტალური პრობლემა, ალბათ, ის მანკიერი მემკვიდრეობაა, რაც ძველი მმართველობის სისტემიდან დაგვრჩა. აი, მეც მეგონა, თუ სასამართლო გათავისუფლდებოდა, სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არაა — მოსამართლეთა უმეტესობა მაინც ძველ პოლიტიკურ ძალას ემორჩილება. ვერ ვიტან ამ საზიზღარ სიტყვა კოაბიტაციას! თუმცა თუ სისტემური დანაშაული იყო ქვეყანაში, დღეს ამ სისტემის ავტორებთან თანამშრომლობა ხომ ამორალურია?! თანაც საზოგადოების მოთხოვნა — სამართლიანობის აღდგენა, არ და ვერ სრულდება.

ბახტრიონის აჯანყება მას მერე დაიწყო, რაც ყიზილბაშებმა მღვდელი გააუპატიურეს. ასე მოხდა 2012 წლის არჩევნების წინაც — ნაციონალები ზღვარს გადავიდნენ, ციხის კადრები გავრცელდა და ამან გადაწყვიტა არჩევნების ბედი. დღეს კი ნაციონალები არათუ ბრუნდებიან, არამედ მძლავრდებიან და წინა პლანს იკავებენ. ის მოვლენებიც, რაც მაუწყებელზე ვითარდება, ამის მაგალითია! ეს აუტანელია... ამიტომ სრულიად სერიოზულად ვუშვებ, რომ ვინც კოაბიტაციას ქადაგებს, იმას იმ თავის შუშის სასახლესაც ჩაუმტვრევენ, იმ შუშებს დაულეწავენ და საქართველოშიც აღარ დაედგომება, იმის მიუხედავად, რომ თითქოს, გადაგვარჩინა. დღესაც მგონია, რომ სხვა გამოსავალი არ გვქონდა და ეს კაცი ღმერთმა გამოგვიგზავნა, მაგრამ ახლა გაშტერებული და გაოგნებული ვარ — არ მესმის, რა ხდება.

წასვლა, როცა დალაგებული არაფერია, გაქცევას ჰგავს. მგონი, არჩევნების მერე ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი ქაოსი იქნება. ჩემთვის ეს კაცი გამოცანაა და არც მისი მოქმედების ლოგიკა მესმის. უკვე იმაზეც კი ვფიქრობ, ეს ყველაფერი სცენარი ხომ არ არის?!

— რას ფიქრობთ, ვისი სცენარით მიდის ყველაფერი?

— ეს სცენარი მოსკოვშია დაწერილი და არა ვაშინგტონში. სამოქალაქო ომი საქართველოში რუსეთმა მოაწყო და ორივე მხარე შეაიარაღა. მერე შევარდნაძე დაგვისვეს და ესეც გარიგების საგანი იყო რუსეთ-ამერიკას შორის... ალბათ, ახლაც ასეა. სინამდვილეში, ისევ რუსეთის გავლენის სფეროში ვართ და არა ამერიკის.

შევარდნაძეც, სააკაშვილიცა და, როგორც ჩანს, ბიძინაც რუსეთის საქმეს აკეთებენ. ეტყობა, ეს კაცი მთელი ამ სპექტაკლის მესამე აქტია. თან ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ნატო-ში ვერასოდეს შევიდეთ! მოკლედ, უკვე ეჭვი მაქვს, ასე აღტაცებით რომ მივიღეთ ეს ივანიშვილი, სინამდვილეში, ეგეც რუსეთის საქმეს აკეთებს, პუტინი კი იმ სამსახურის ერთ-ერთი კადრის ოფიცერია, რომელსაც ჩემს ახალგაზრდობაში „კაგებე“ ერქვა, ახლა „ეფესბე“ ჰქვია, მანამდე „ოგეპეუ“, იმის წინ კი — „ჩეკა“. ალბათ, უფრო აქტიურად უნდა ჩავებათ ამ პროცესებში და ჩვენს თავზე მეტი პასუხისმგებლობა ავიღოთ.

ისე, მეც მთელი ცხოვრებაა მაწუხებს, რომ ჩემს თავზე პასუხისმგებლობა, პრაქტიკულად, არასოდეს ამიღია. მიუხედავად იმისა, რომ 1978 წლის 14 აპრილიდან მოყოლებული, ყველა დიდ გამოსვლასა და აქციაში ვმონაწილეობდი, მაინც სხვას მივყვებოდი... ერთადერთი შემთხვევა 1978 წლის აქცია იყო, როცა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა დაგვიძახეს, ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი უნდა გაუუქმონ და აქციაზე გავიდეთო, მაგრამ ბოლო წუთს თავად აქციის ორგანიზატორებმა გადაიფიქრეს. აქცია ჩაშლის პირას იყო, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები რომ არ მოსულიყვნენ. თავს არ ვიქებ, უბრალოდ, ბოლოს ისე მოხდა, მე და ჩემმა მეგობრებმა, სამხატვროს სტუდენტებთან ერთად, დაძვრა გადავწყვიტეთ და უკვე ვარაზისხევზე იმდენი ხალხი მოგროვდა, ქუჩა გადაიკეტა. ამ ამბავს ჩემს სტუდენტებს ვუყვები ხოლმე და აქამდე ასე საჯაროდ არსად მითქვამს. მთელი ჩემი ცხოვრება ისე გავიდა, სულ სხვის დაძახილს ველოდი.

— დრო ხომ არ მოვიდა, ინიციატივა საკუთარ თავზე აიღოთ, თუ ისევ ვინმეს დაძახილს ელით?

— ხომ არის ვიღაც, მოწოდებით ლიდერი — მე ასეთი არ ვარ. არ შემიძლია, გამოვიდე და ხალხს ვუთხრა, წავედით-მეთქი. ახლა ვხვდები, რომ არასწორია, როცა სტატისტის როლში ხარ. პოლიტიკაში გარევა არც მინდოდა და არც შემეძლო, მაგრამ ახლა ჰაველის ფრაზა გამახსენდა — პატიოსანი ადამიანი ან პოლიტიკაში უნდა იყოს, ან პოლიტიკოსებს აკონტროლებდესო. მე ეს ჩემს თავზე არასდროს ამიღია და ძალიან ვნანობ, რადგან ვხედავ, ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება.

— ეს შესავალი სიტყვა იყო, რათა გეთქვათ, პოლიტიკაში მოვდივარო?

— ვერ მივდივარ და არც წავალ — ეს ჩემი საქმე არ არის. „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო სიები რომ დგებოდა, მითხრეს, პირველ ოცეულში შეგიყვანთო. მაშინ „მრგვალი მაგიდის“ გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ ვმუშაობდი. ამაზე უარი ვთქვი და შეიძლება, ამის გამო ვინმემ დებილად ჩამთვალოს. მაშინაც ავიცილე ეს პასუხისმგებლობა, რადგან შინაგანად პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ისიც არ მინდა, ჩემი ქვეყანა, ჩემი პასიურობის გამო, უარესობისკენ მიდიოდეს. ეს ქვეყანა პოლიტიკოსების კი არა, ხალხის უნდა იყოს.

— მთელ ამ სიტუაციაში რა როლი აქვს ე.წ. ინტელიგენციას, რომელსაც, როგორც ამბობენ, ხალხი ჯერ კიდევ უსმენს?

— თავად „ინტელიგენცია“ რუსული ფენომენია. ამ ინტელიგენციამ მოამზადა რუსეთში გადატრიალების საფუძველი. მათ ცუდი როლი მიუძღვით რუსეთის იმპერიის ნგრევაში, რადგან ამის მერე წითელი, ათასჯერ უარესი საბჭოთა იმპერია მივიღეთ! ამიტომ ინტელექტუალმა ადამიანმა და არა ინტელიგენტმა, რაღაცნაირად, თავისი ადგილი და პასუხისმგებლობა უნდა გააცნობიეროს საზოგადოებაში. აბსოლუტურად არასწორი იქნება, მე რომ ვიძახო, მწერალი ვარ და სხვა არაფერი მეხება-მეთქი. როცა გემი იძირება, არ გაქვს უფლება თქვა, მე მწერალი ვარ და წყალს ვერ ამოვხაპავო! ჰოდა, ჩვენი გემი დიდი ხანია იძირება და ახლა შეიძლება, ვეღარც ვუშველოთ. დღესვე და ხვალვე თუ არ გამოვფხიზლდით, მართლა აღარაფერი გვეშველება.

— მერე, ვინ და როგორ უნდა ამოხაპოს წყალი გემიდან?

— დღეს მოქმედი არც ერთი პოლიტიკოსის იმედი აღარ მაქვს. ამ არჩევნებზეც, ალბათ, ხმას ვერც ერთს ვერ მივცემ. აი, ნინო ბურჯანაძეს ხელისუფლება 7 ნოემბერს რომ დაეტოვებინა, პირადად ჩემთვის, გმირი იქნებოდა. არც აგარაკი უნდა აეღო ლარად და არც პროვოკაცია უნდა მოეწყო 26 მაისს. მის გვერდით ვერასდროს დავდგები, დავით ბაქრაძის გვერდით ისედაც არასდროს დავდგები — ეგ ნაციონალია და ამ ორგანიზაციაში ყველანი მკვლელები არიან. მარგველაშვილის გვერდით რომ დავდგე, რა აზრი აქვს, ბიძინა მიდის, მარგველაშვილი კი მის გარეშე, ქვეყნის მართვას ვერ შეძლებს!

ივანიშვილი რომ ამბობს, არასამთავრობო სექტორს გავაძლიერებ და ამით ქვეყანას ეშველებაო, ამას როგორ აპირებს — ფულს მისცემს და გაძლიერდება?! ეს ყოველ ჩვენგანზეა დამოკიდებული, არა მარტო ბიძინასა და მის ფულზე. ეს ერთმანეთს ყოველდღე უნდა შევახსენოთ და თუ გულწრფელი მცდელობა იქნება, ღმერთი კიდევ ერთხელ მოახდენს სასწაულს და საქართველოს გადაარჩენს...

ვერსიანიუსი

გიორგი მარგველაშვილი: „პრეზიდენტად გასული, მე ვიქნები თავიდან ფეხებამდე ქართული!

„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი 14 სექტემბერს, საღამოს, ბათუმში, ერას მოედანზე, ბერა ივანიშვილის მიერ გამართულ კონცერტს დაესწრო. კონცერტის მსვლელობისას ბერამ მარგველაშვილი სცენაზე მიიწვია და საზოგადოებას როგორც მომავალი პრეზიდენტი, ისე წარუდგინა.

„იცი, რა? რა მინდა გითხრა, რომ - პრეზიდენტად გასული, მე ვიქნები თავიდან ფეხებამდე ქართული“, — ასე მიმართა მარგველაშვილმა ახალგაზრდა მომღერალსა და იქ შეკრებილ საზოგადოებას.

ბათუმის კონცერტით ბერამ ახალი ტურნე წამოიწყო, რომელიც არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისში დასრულდება.

„პირველი რადიო“

ნეპოტიზმისა და უკანონო გადაწყვეტილებების სკანდალური ფაქტები განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში

„ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევა კოლეჯში ცვლილებების საფუძველი ხდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გამოქვეყნებული კვლევა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს მთავრობამ შემდგომი მოკვლევისა და რეაგირებისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ სამსახურებს გადაუგზავნა. პროფესიულ სასწავლებელში კრიზისი 2012 წლის 6 ივნისს დაიწყო, რა დროსაც, სასწავლებლის დირექტორმა, დავით მჭედლიშვილმა, სამინისტროს მაღალჩინოსნების დავალება შეასრულა და პოლიტიკური ნიშნით თანამდებობიდან საკუთარი მოადგილე, თამარ კაიკაციშვილი გაათავისუფლა. დირექტორმა მოადგილე განსხვავებული სამოქალაქო პოზიციისა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო გაუშვა. დავით მჭედლიშვილი დღემდე ღიად წარმოადგენს იმჟამად სახელისუფლებო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს, რაც კვლევაში დადასტურებულია პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობით, ხოლო ყოფილი მოადგილე თამარ კაიკაციშვილი წარმოადგენდა ოჯახს, რომლის წევრიც, ვაჟა ბერიძე, იმჟამად მთავარი ოპოზიციური გაერთიანების – კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრი იყო. თამარ კაიკაციშვილი კოლეჯში არ დანიშნულა პარტიული ნიშნით ან/და პარტიული რეკომენდაციით. სამინისტროს იმჟამინდელი პოლიტიკისთვის ყოფილი მოადგილე არასაიმედო კადრად იქნა შეფასებული და გათავისუფლების რეალური საფუძველი არ ყოფილა სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზები, რასაც მოწმობს თანამდებობის დატოვების მოთხოვნა პირადი განცხადების საფუძველზე და სიტყვიერი გათავისუფლებიდან (6 ივნისი, 2012) და გათავისუფლების ინდივიდუალურ–ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე (19 ივნისი, 2012) პერიოდში გაჩენილი დაბნეულობა და გაურკვევლობა, რომელიც პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობის დატოვებაზე უარის თქმას მოჰყვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, კოლეჯის დირექტორის მიერ ყოფილი მოადგილის გათავისუფლების ფაქტს (ბრძანებას) უწოდა უკანონო. სასამართლომ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დაადასტურა, რომ დირექტორმა მოადგილე ჯერ გაათავისუფლა, ხოლო შემდეგ მომზადდა გათავისუფლებისთვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. ამჟამად საქმეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბესარიონ ალავიძე განიხილავს, რომელსაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ უკვე გაუგზავნეს პროფესიული სასწავლებლის დემოკრატიული მმართველობის შესახებ მომზადებული კვლევა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა, პროფესიული საქმიანობაში ნეპოტიზმის ფაქტები და მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები აღმოაჩინა. ორგანიზაციის დასკვნით, ადგილი აქვს სისტემურ და სამართლებრივ პრობლემებს, რომელიც არ პასუხობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად მოთხოვნებს და ღირებულებებს, დემოკრატიულ და საჯარო მმართველობის პრინციპებზე, მთლიანად უგულებელყოფილია ადამიანური რესურსების მართვის სამართლიანი მოდელი, მოშლილია სასწავლებლის შიდა დემოკრატია და დეცენტრალიზაცია, ეფექტიანი მმართველობა კი ჩანაცვლებულია კოლეჯის ადმინისტრაციულ თანამდებობებსა და სხვადასხვა სფეროს თანამშრომლების კონკურსების გარეშე დანიშვნასთან, გამოვლენილია ადამიანების დაწინაურება მათთან ოჯახური, ნათესაური, მეზობლური და ახლო ურთიერთობების გაზიარებით, რაც სცილდება განათლების რეფორმის გამჭვირვალობის პრინციპებს და სამართლიანობის სტანდარტებს, საქართველოს დაახლოებას „კოპენჰაგენის დეკლარაციასთან“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტის „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო – პროფესიული სტანდარტების“ დებულებებს, რომელიც ადგენს ავტონომიურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მაღალ სტანდარტებს პროფესიული სასწავლებლებისთვის და პროფესიული განათლების განვითარებისთვის საქართველოში. კვლევას უკვე გაეცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც, ფაქტებზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად ემზადება. სამინისტროში სასწავლებლის დირექტორის დავით მჭედლიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უკვე დაისვა, რითაც თამარ სანიკიძის უწყება სისტემაში სამართლიანობის აღდგენის პროცესს გააგრძელებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გამოქვეყნებული კვლევა სკანდალურია. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, სასწავლებლის 70–წევრიანი შემადგენლობიდან, 45–ზე მეტი თანამშრომელი ოჯახის წევრი ან/და ნათესავია. გამოვლინდა ნეპოტიზმის ფაქტების ყველაზე დიდი შემთხვევა, რომელიც განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ კოლეჯში არსებობს. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საზოგადოებას მტკიცებულებები წარუდგინეს:

1. კახა ბოლქვაძე - კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, იმავე დროს, კოლეჯში ერთადერთი აიტი ტექნოლოგიების სპეციალისტი, დირექტორის მეუღლის მამიდაშვილი.

2. ნათია ტაკიძე, შესყიდვების მენეჯერი, დირექტორის დისშვილის მეუღლე.

3. ლაშა ხახუტაიშვილი, პრაქტიკების მენეჯერი, ბარმენთა ჯგუფის პედაგოგი, დირექტორის დისშვილი.

4. ირმა გოგიტიძე, კოლეჯში პირველადი დახმარების საათების პედაგოგი, მთავარი ექთანი, დირექტორის მეუღლე.

5. ბიჭიკო ჯინჭარაძე, კოლეჯის კვების ბლოკის საწყობის ხელმძღვანელი, სამეურნეო საქმიანობაში ნდობით აღჭურვილი პირი, დირექტორის ბიძაშვილი.

6. თალიკო რევაზიშვილი, კოლეჯის ბიბლიოთეკარი, დირექტორის ახლო ნათესავის, ბიჭიკო ჯინჭარაძის მეუღლე.

7. აკაკი ანანიძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის მამიდაშვილი.

8. ინგა ანანიძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის ახლო ნათესავის, აკაკი ანანიძის მეუღლე.

9. ინდიკო ჯინჭარაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის ბიძაშვილი.

10. რომან მემარნე, საინჟინრო მიმართულების სპეციალისტი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.

11. დავით წულუკიძე, კოლეჯის ავტოდიაგნოსტიკის სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.

12. ეთერ ანანიძე, კოლეჯის პედაგოგი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი.

13. ვაჟა წულუკიძე, კოლეჯის პედაგოგი, დირექტორის თანასოფლელი და ახლო მეგობარი.

14. მირანდა კომახიძე, კოლეჯის პიარსამსახურის უფროსი, აჭარის მთავრობის ერთ-ერთი თანამდებობის პირისა და გამგებლის ყოფილი მოადგილის და.

15. მზია კომახიძე, კოლეჯის უცხო ენების პედაგოგი, კოლეჯის პირმენეჯერის და.

16. სოფო გოგმაჩაძე, საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი.

17. თეა აბრამიშვილი, კოლეჯის დამხმარე თანამშრომელი, დირექტორის მეგობრის მეუღლე.

18. ნიკოლოზ ცეცხლაძე, კოლეჯის სამეურნეო დარგის მუშაკი, თეა აბრამიშვილის მაზლი.

19. ნათია კახიძე, საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, დირექტორის მეგობრის ცოლი და „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებული ბიზნესმენების, ჭყონიების რძალი.

20. ჭაბუკი ვერულიძე, კოლეჯის იურისტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილე სულხან მოწყობილის სიძე.

21. სოფო მოწყობილი, კოლეჯის საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, კოლეჯის იურისტის, ჭაბუკი ვერულიძის ცოლი.

22. სოფო რომანაძე, კოლეჯის პროფორიენტაციის მენეჯერი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა და ნათესავი, ბიზნესში ცნობილი ჭყონიების ოჯახის რძალი (არა თემურ ჭყონიასი).

23. სარდიონ (ზურა) დიასამიძე, კოლეჯის მთავარი ბუღალტერი, დირექტორის საახლობლო წრიდან.

24. ნელი გუგუნავა, სასწავლო მართვის მენეჯერი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა, რომელიც 30 წელზე მეტია მუშაობს კოლეჯში.

25. გიული გოხიძე, საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი. ნელი გუგუნავას ახლო ნათესავი.

26. ლელა მესხიძე, საინფორმაციო ცენტრის ადმინისტრატორი, შეთავსებით სასტუმრო საქმის პედაგოგი, ნელი გუგუნავას ახლო ნათესავი.

27. ნანა ღუდუშაური, კოლეჯის ტურიზმის სფეროს პედაგოგი, ნელი გუგუნავას შვილი.

28. თინათინ (მანანა) გაგუა, მზარეულის სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის უახლოესი წევრი.

29. ინგა ჟიჟავაძე, საკონდიტრო სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ახლო მეზობელი, ოჯახის უახლოესი გარემოცვა.

30. ედნარ ვერულიძე, კოლეჯის დარაჯი, დირექტორის მეზობელი, ოჯახის უახლოესი გარემოცვა.

31. მზია ქათამაძე, სასტუმრო საქმის პედაგოგი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა.

32. ამირან ათაბაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მზია ქათამაძის მეუღლე.

33. ზაზა მეგრელიძე, კოლეჯის სამეურნეო სფეროს მენეჯერი. დირექტორის ოჯახის უახლოესი გარემოცვა.

34. ირმა მეგრელიძე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. ზაზა მეგრელიძის და.

35. მაია ნოღაიდელი, სარესტორნო საქმის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.

36. ეთერი კუცია, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მაია ნოღაიდელის დედამთილი.

37. მალხაზ კუცია, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მაია ნოღაიდელის ქმარი.

38. ნინო ბეჭვაია, კოლეჯის სარესტორნო საქმის პედაგოგი, წლების განმავლობაში კოლეჯის სტუდენტური კაფე-ბარის მმართველი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა.

39. თემურ ქორიძე, კოლეჯის საინჟინრო მიმართულების პედაგოგი, ნინო ბეჭვაიას მეუღლე.

40. ვაჟა ქათამაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა.

41. მაია ქათამაძე, კოლეჯის რუსული ენის პედაგოგი, ვაჟა ქათამაძის მეუღლე.

42. ნატო რომანაძე, კოლეჯის ტუროპერატორის ჯგუფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.

43. ნანა რომანაძე, ოფისის მენეჯერის ჯგუფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი, ნატო რომანაძის და.

44. ამირან გოგიტიძე, მძიმე ტექნიკის ოპერატორების ჯგუფის პედაგოგი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა, თანასოფლელი და მეზობელი.

45. მიხეილ ჯინჭარაძე, მძიმე ტექნიკის ოპერატორების ჯგუფის პედაგოგი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა, თანასოფლელი და მეზობელი.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ადმინისტრაცია წარმოდგება შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით მჭედლიშვილი – დირექტორი.

2. ნელი გუგუნავა – დირექტორის მოადგილე (დირექტორის საიმედო კადრი, თანამშრომელი 30 წლის მანძილზე).

3. ეთერ ანანიძე – სასწავლო პროცესის მენეჯერი (დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი).

4. სარდიონ დიასამიძე – ბუღალტერი (დირექტორის საახლობლო წრე).

5. ჭაბუკი ვერულიძე – იურისტი (დირექტორის საახლობლო წრე).

6. ლუიზა რომანაძე – პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერი (დირექტორის სამეგობრო წრე).

7. ზაზა მეგრელიძე – მატერიალური რესურსების მენეჯერი (დირექტორის საახლობლო წრე).

8. ანა ალექსეევი – დირექტორის თანაშემწე (დირექტორის უახლოესი წრე).

9. ირმა მეგრელიძე – პროგრამებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (დირექტორის უახლოესი წრე).

10. ლაშა ხახუტაიშვილი – სასტუმროს ადმინისტრატორი (დირექტორის დისშვილი).

11. მირანდა კომახიძე – პიარსამსახური (დირექტორის უახლოესი წრე, დანიშვნის დროისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის და).

12. ნათია ტაკიძე – შესყიდვების მენეჯერი (დირექტორის დისშვილის მეუღლე).

13. თამილა თედორაძე – დარგობრივო მიმართულების კოორდინატორი (ბიზნეს ადმინისტრირება) (დირექტორის უახლოესი წრე).

14. რომან მემარნე – დარგობრივი მიმართულების კოორდინატორი (საინჟინრო) (დირექტორის თანასოფლელი და ოჯახის ახლობელი).

„ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევაში სასწავლებლის მოქმედი დირექტორის წარსულიც მოხვდა. აღმოჩნდა, რომ დავით მჭედლიშვილმა დირექტორის თანამდებობა ყოფილ ხელისუფლებასთან სიახლოვითა და განათლების სამინისტროს პირველ პირებთან წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობებით შეინარჩუნა. კოლეჯის დირექტორი 2003 წლის არჩევნების დროს ხელმძღვანელობდა ქობულეთის საოლქო უბანს, რომელმაც არჩევნები „ნაციონალური მოძრაობის” სასარგებლოდ გადაწყვიტა. განსაკუთრებული აქტიურობა შესამჩნევი იყო 2008 წლის იანვრისა და მაისის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს, როცა საუბნო კომისიის წევრი იყო და „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ კამპანიას აწარმოებდა. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს, დავით მჭედლიშვილი გავიდა ოფიციალურ შვებულებაში და ქობულეთში „ნაციონალური მოძრაობის” ღია მხარდამჭერის ფუნქცია შეასრულა. კოლეჯის დირექტორმა ყოფილი მმართველი პარტიის ადგილობრივ მაჟორიტარ კანდიდატ გელა ცხომელიძესთან ერთად, არაერთი შეხვედრა გამართა ადგილობრივ ამომრჩეველთან, რასაც ადასტურებს საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9” – ის მიერ ადგილზე გადაღებული კადრებიც. დირექტორმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გამართვამდე, პროფესიული კოლეჯი ყოფილი მმართველი პარტიის საუბნო კომისიის წევრების შეხვედრებისა და კონსულტაციების ადგილადაც აქცია, სადაც მიმდინარეობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ადგილობრივი მხარდამჭერების ტრენინგები და გადამზადება. მეტიც, დადასტურებული ფაქტია, როდესაც კოლეჯის თანამშრომელი, საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, თეონა მენაფირე გახდა თვითგამოცხადებული „ინფო-9”-ის ჟურნალისტი ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან. კოლეჯის თანამშრომელმა ერთ თვეზე მეტი დროით მიიღო შვებულება და აქტიურად ჩაერთო მაშინდელი ოპოზიციის – „ქართული ოცნების” მოსახლეობასთან შეხვედრების ხელშეშლასა და მიკერძოებულ გაშუქებაში. კოლეჯის დირექტორი, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2012 წლის 30 სექტემბერს, პრეზიდენტის ღირსების მედლითაც დაჯილდოვდა.

დასასრული მე-10 გვერდზე

რა საფრთხეებს შეიცავს რუსეთ-საქართველოს გზის დაღესტნის მონაკვეთის რეაბილიტაცია?

რუსეთ-საქართველოს გზის დაღესტნის მონაკვეთზე, რომელიც 1992 წლიდანაა დაკეტილი, რუსული მხარე გზების აღდგენას იწყებს. დაღესტნის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლის, ანდრეი ბონდარევის განცხადებით, გზის აღდგენითი სამუშაოები უახლოეს ხანებში დაიწყება და პირველ ეტაპზე გზა საქართველოს საზღვრამდე აღდგება. მისივე თქმით, ამ ეტაპისთვის მას არ აქვს ინფორმაცია, გაიხსნება თუ არა გზის ამ მონაკვეთზე სასაზღვრო პუნქტი.

საზღვარი 1992 წლიდან ჩაკეტილია, თუმცა ყვარლის რაიონის მოსახლეობა ამტკიცებს, რომ საგუშაგოს მეორე მხარეს, რუსეთის ტერიტორიაზე სამუშაოები დაწყებულია. დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროში ადასტურებენ, რომ რეაბილიტაცია დაიწყო და გზა ჯერჯერობით საზღვრამდე მივა. როგორც პრესსამსახურის უფროსი ანდრეი ბონდარევი აცხადებს, გადაწყვეტილება მიღებულია ამ გზის რეაბილიტაცია მშენებლობაზე.

„ამ ეტაპზე, მიმდინარეობს გზის ეკონომიკური შეფასება. სამუშაო კომისიამ გზა უკვე დაათვალიერა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გზა აშენდება. ჯერ არ შემიძლია ვთქვა, იქნება თუ არა ამ გზაზე სასაზღვრო პუნქტი, ეს საკითხი სასაზღვრო დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის და მომავალში გადაწყდება“, — აცხადებს ანდრეი ბონდარევი.

ქართული მხარე აპირებს გაარკვიოს, რუსეთ-საქართველოს გზის დაღესტნის მონაკვეთზე რა სამუშაოების განხორციელებაზეა საუბარი. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით მის უწყებასთან არანაირი კომუნიკაცია არ ყოფილა.

„არც რუსული მხარის მიერ და არც ჩვენი სხვა კოლეგების მხრიდან ამაზე საუბარი არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით, ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვაქვს, თუმცა ვაპირებთ გავარკვიოთ, რა სამუშაოებზეა საუბარი“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის თავმჯდომარე გია ვოლსკი ამბობს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთის ჩანაფიქრი მარტივია, ის ცდილობს, ეკონომიკური მიმართულებით გააააქტიუროს საქართველოსთან ურთიერთობები.

„რაც შეეხება დაღესტნის გადმოსასვლელს, ამ საკითხს განიხილავს საქართველოს მთავრობა და მათ შორის, საქმის პროფესიონალები. ჩემი აზრით, რაც შეიძლება მეტი სფერო და მეტი მიმართულება უნდა იყოს მოლაპარაკების საგანი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური პოზიციები გაგვაჩნია ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთთან მიმართებაში“, — აცხადებს „ფორ.გე“-სთან საუბრისას გია ვოლსკი.

რამდენჯერაც რუსეთმა გზის მონაკვეთი აღადგინა, იმდენჯერ ომი დაიწყო საქართველოსთან და ამიტომ გარკვეული შიში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენის პროცესში, რუსეთ-საქართველოს გზის დაღესტნის მონაკვეთზე რუსეთის მხრიდან გზების აღდგენის პროცესის დაწყება დადებითი ფაქტია და მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთმა დაიწყო შემხვედრი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

„დამატებითი 2 საბაჟო პუნქტი გაიხსნა, საუბარია რკინიგზის აღდგენაზე. დაღესტნის მიმართულებით გზის გახსნა უკავშირდება იმას, რომ რუსეთი დადებითად უყურებს საავტომობილო გზის გახსნას თბილისსა და რუსეთს შორის. თავისთავად, ეს დადებითი ნაბიჯია, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ჩრდილოკავკასიაში დაძაბული ვითარებაა და მათ შორის დაღესტანში. შესაბამისად, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ითანამშრომლებენ ქართული და რუსული სასაზღვრო სამსახურები და განხორციელდება თუ არა ამ მონაკვეთზე ერთობლივი კონტროლი... ამიტომაც ცოტა ფრთხილად ვუყურებ ამ საკითხს. საერთოდ, პოლიტიკური ფონი უნდა გაუმჯობესდეს სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, როგორც რუსული, ასევე ქართული მხრიდან“, — აცხადებს „ფორ.გე“-სთან საუბრისას გოგი ხუციშვილი.

ექსპერტი ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ რუსეთის პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც თანმიმდევრულად ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს, ნებისმიერი მსგავსი ქმედება მათი მხრიდან, საფრთხის შემცველია:

„საფრთხის შემცველია მსგავსი მონაკვეთის გაკეთება. რუსეთი გაუმჭვირვალე ქვეყანაა, მათთან კომუნიკაციით ვერ გაარკვევ, რა მიზნებს შეიძლება ემსახურებოდეს ეს და ამიტომ ვფიქრობ, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან ამას უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაქციები და კითხვები. ქართულმა მხარემ ეს საკითხი უნდა დააყენოს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, რომ რუსეთზე ზეწოლით გაარკვიონ, რას ემსახურება ამ მონაკვეთის აღდგენა. რაც შეეხება შესაძლო საფრთხეებს, კონკრეტულად, სამხედრო საფრთხეზე შეიძლება იყოს საუბარი ისევე, როგორც 2008 წელს რკინიგზა, რომელზეც დღეს ჩვენი ხელისუფლება სრული ილუზიებით შეპყრობილი საუბრობს, როგორც გაურკვეველ სარგებელზე. როგორც მაშინ გამოიყენეს რკინიგზა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკისა და სამხედროების გადმოსაყვანად, ზუსტად ასევე, დღეს ისინი ქმნიან დამატებით სხვა მხრიდან შემოსვლის გზას. რუსები, როგორც წესი, საქართველოში შემოდიან ტანკებით და სწორედ ამ საფრთხის ნეიტრალიზებისთვის აუცილებელია, საერთაშორისო თანამეგობრობასთან მოხდეს ამ საკითხის ხაზგასმა“.

თამთა ქარჩავა, For.ge

„ტრაგედია გმირით“

ზურა ელიკაშვილი

ის საზღვარგარეთ წავიდა იმიტომ, რომ ოჯახში, მშვიდობა და სიმყუდროვე ყოფილიყო.

ის მოხუც სენიორს თუ სენიორას უვლიდა — მისი მშობლები უპატრონოდ არ ყოფილიყვნენ...

ის სხვის შვილებს გულში იხუტებდა, რომ მის შვილებს კოშმარები არ დასიზმრებოდათ...

ის ქუჩასა და ბაზარში პურსა თუ ტანსაცმელს ყიდდა, მის ოჯახს არ მოშივნოდა და შესციებოდა...

სხვის შვილებს ცრემლებს უმშრალებდა, ეფერებოდა, რომ მის შვილებს ცრემლი არ დასდენოდათ...

სხვის სამზარეულოს ამშვენებდა, რომ მის სამზარეულოშიც სასიამოვნო სურნელი ყოფილიყო...

სხვის თეთრეულს რეცხავდა, რომ მისი შვილები სუფთად ყოფილიყვნენ...

სხვის შვილებს ასწავლიდა, რომ მისი შვილები უსწავლელნი არ დარჩენილიყვნენ...

სხვის შვილებს პარკში ხელჩაკიდებული ასეირნებდა, საღამოს ზღაპრებს უყვებოდა, თავისას ,,სკაიპით“ ეფერებოდა...

ღამეებს თეთრად ათენებდა, რომ მის შვილებს უშფოთველი ძილი ჰქონოდათ...

უამრავ დამცირებას იტანდა, რომ მისიანებს ამაყად ევლოთ...

ის სხვის მიცვალებულს აპატიოსნებდა, რომ მისი ღირსეულად გაეცილებინათ...

სამშობლოს ნოსტალგია უსერავდა სულსა და გულს, არ იცოდა, რომ მისიანები სამშობლოდან გაქცევაზე ოცნებობდნენ...

მის სახესა და ხელებს ნაოჭები ემატებოდა, რომ მის მშობლებს ნაკლები ნაოჭები ჰქონოდათ...

მოხუც სენიორას წამლებს ასმევდა, რომ თავისი მოხუცი მშობლებისთვის ტკივილი შეემსუბუქებინა...

ის რესტორნებსა და კაფეებში სხვას ემსახურებოდა... მის გამოგზავნილ ევრო-დოლარებს სიმწრისა და ტკივილის სუნი ჰქონდა, თუმცა ეს სულაც არ უშლიდა ხელს მის ქმარს, იმ ფულით რესტორნებსა და მეძავებში ეგრიალა... (ასეთებიც ხდება თურმე...)

ის, იძულებით თუ ნებით, უცხო თესლის სარეცელსაც ათბობდა...

(ასეთებიც ხდება თურმე...) რომ....

ამ აუწონავ ტრაგედიას გმირი ჰყავს... ქართველი დედა... რომელსაც აღარც მახვილი უჭირავს ხელში, აღარც ფიალა...

P.S. ბოლო გამოთვლებით, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერად შვედი ქალები გრძნობენ თავს... ქალის ბედნიერება კი, მოგეხსენებათ, მამაკაცის გარეშე არ არსებობს. შვედმა მამაკაცებმა უნდა თქვან: კაცებიც ჩვენ ვართ და ქუდებიც ჩვენ გვხურებიაო...

ჩვენ?... ჩვენ, კაცებმა, ფეხზე ადგომით, განსხვავებული სასმისით შევსვათ ქვეყნად უსათნოესი, ულამაზესი, ყველაზე მომთმენი ქართველი მანდილოსნის სადღეგრძელო...

ნეპოტიზმისა და უკანონო გადაწყვეტილებების სკანდალური ფაქტები განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში

მე-9 გვერდიდან

ოფიციალური ვერსიით, დირექტორმა აღნიშნული მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდო ტურიზმის განვითარებისთვის მიიღო, თუმცა არსებობს მაღალი ალბათობა, რომ კოლეჯის დირექტორი პოლიტიკური ერთგულებისთვის დაჯილდოვეს, რადგანაც ასეთი ჯილდოს გადაცემა მოხდა არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, რა დროსაც, ტურიზმის დამსახურებისთვის სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის ლეგიტიმური ეჭვი, პრაქტიკულად, არ არსებობდა. კოლეჯის დირექტორმა, 2012 წლის 19 ოქტომბერს, უშუალოდ უხელმძღვანელა სასწავლებლის ეზოში სტუდენტებისა და თანამშრომლების მონაწილეობით გამართულ საპროტესტო აქციას და სიტყვით მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს, თუმცა კოლეჯის ადმინისტრაცია, მოთხოვნის მიუხედავად, არ გამიჯვნია თამარ კაიკაციშვილის ფოტოს სასწავლებლის ეზოში საჯაროდ დაწვის ფაქტს. ამ ღონისძიებას, ხელმძღვანელობა კოლეჯის პიარსამსახურის ხელმძღვანელმა მირანდა კომახიძემ გაუწია, ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყოფილ მოადგილესთან პიროვნულ დაპირისპირებაში კოლეჯის თანამშრომლებმა: ნელი გუგუნავამ, ეთერ ანანიძემ, მანანა გაგუამ. 2012 წლის 14 ივნისს, კოლეჯის დირექტორი მოადგილესთან აუდიოჩანაწერში, კოლეჯის დირექტორი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სამინისტროდან მიღებული დავალების შემსრულებელია. სასამართლო ეტაპზეც დადასტურებულია ფაქტი, რა დროსაც, დირექტორი, 2012 წლის 6 ივნისს, სამინისტროდან, თამარ კაიკაციშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილებით ბრუნდება და მოადგილეს პირადი განცხადების საფუძველზე წასვლას სთხოვს. თამარ კაიკაციშვილის გათავისუფლებაში სამინისტროს როლზე საუბრობს კოლეჯის საქმის მწარმოებელი ანა ალექსეევი და კოლეჯის იურისტი ჭაბუკი ვერულიძე. დირექტორმა მოადგილის გათავისუფლების საკითხზე პირველი სატელეფონო შეტყობინება

სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, ლალი ებანოიძისგან მიიღო. სამინისტროს როლი თამარ კაიკაციშვილის საქმეში დაადასტურა ლალი ებანოიძის 2012 წლის 28 ნოემბრის წერილმა, სადაც პირდაპირ იქნა აღნიშნული, რომ „სამინისტრომ, ამ თემაზე აკრძალა ყოველგვარი კომენტარი გაკეთება“. წერილი სამინისტროს დღევანდელი მესვეურებისთვის საჯარო ადვოკატმა არჩილ კაიკაციშვილმა გახადა, ლალი ებანოიძემ კი უფლებადამცველს, სოციალურ ქსელებში, ამის გამო, „ნამუსგარეცხილი“ უწოდა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ განათლებია და მეცნიერების სამინისტროდან კონკრეტულ რეაგირებას მოითხოვენ. კვლევაში სარეკომენდაციო ნაწილიც გამოქვეყნდა. კერძოდ, ორგანიზაცია მოითხოვს:

1. სამინისტროს შიდა აუდიტისა და გენერალური ინსპექციის სამსახურებმა განახორციელონ ეფექტური კონტროლი კოლეჯ „ახალ ტალღაში“ არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სამართლებრივი გადაწყვეტილებების სამართლიანობის დადგენის მიმართ, მათ შორის მნიშვნელოვანია განხორციელდეს ფინანსური აუდიტი, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია კოლეჯის დაქვემდებარებაში არსებული უძრავი და მოძრავი საკუთრების განკარგვის კანონიერებასთან და პირადი სარგებლიანობის შესაძლო ფაქტების დადგენის მიზნით. სამინისტრომ კოლეჯის მიმართ კანონით მინიჭებული კონტროლის უფლებამოსილება განახორციელოს მყისიერად, რათა არ მოხდეს მონიტორინგის შედეგად საჯაროდ გამხდარი ფაქტების დაფარვა, გადაწყვეტილებების შეცვლა და შესაძლო მოქმედებების განხორციელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის სასწავლებლის გამჭვირვალობას და რეალობის დადგენას.

2. სამინისტრომ, სასწავლებელში გამოვლენილი შესაძლო დარღვევებისა და გადაცდომების აღმოჩენის გარკვევამდე, დასვას კოლეჯის მოქმედი დირექტორის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი და სამინისტროს შიდა აუდიტისა და გენერალური ინსპექციის დასკვნამდე, მოქმედ დირექტორს შეუჩერდეს დირექტორის მოვალეობის შესრულება.

3. სამინისტრომ უზრუნველყოს კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ღია, თავისუფალ და გამჭვირვალე აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება.

4. სამინისტრომ, კანონიერი ნდობის აღდგენის მიზნით, სარეკომენდაციო წინადადებები განახორციელოს გონივრულ ვადებში, 2013 წლის 1 ნოემბრამდე.

ქართულ-რუსული ურთიერთობები გამოსწორების გზაზეა

ამ სათაურით გამოცემა euractiv.com საქართველოზე ანალიტიკურ სტატიას აქვეყნებს, რომელსაც „ნიუპოსტი“ უცვლელად გთავაზობთ:

საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები არ შეცვლილა გასული წლის არჩევნების შემდეგ, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობები გამოსწორებისკენ მიდის, — წერს თედო ჯაფარიძე. თედო ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წევრია „ქართული ოცნებიდან“, რომელიც მაგნატმა და ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა. ჯაფარიძე საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრია (2003-2004 წწ.) და ამჟამად საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეა.

ხუთი წლის წინ, 8 აგვისტოს, საქართველო ჩაერთო სისხლიან და მარცხისთვის განწირულ ომში რუსეთთან. იმისათვის, რომ ჩვენი ევროატლანტიკური არჩევანი დაგვედასტურებინა, ჩვენ სულ ხუთ დღეში დავკარგეთ ქვეყნის ტერიტორიის 20%, რომელიც ამჟამად რუსეთის მიერაა ოკუპირებული. დღეს, დაახლოებით, 60 000 ეთნიკური ქართველი გაძევებულია თავისი სამშობლოდან. 2012 წლის ოქტომბერში საქართველოში ახალი მთავრობა მოვიდა. მისი საარჩევნო დაპირება, წარსული შეცდომების გათვალისწინება, დემოკრატიის დამყარება, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, ქვეყნისთვის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მოტანა იყო. ეს არაა იოლი ამოცანა, მაგრამ ევროპელი მეგობრების დახმარებით, ჩვენ წინ მივიწევთ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები არ შეცვლილა გასული წლის არჩევნების შემდეგ. ევროატლანტიკური ინტეგრაცია ჩვენს უმთავრეს მიზნად რჩება. ჩვენ გვესმის, რომ ამისთვის ზემოთ ჩამოთვლილ მიზნებს უნდა მივაღწიოთ. მეორე მხრივ, ახალი მთავრობა აცნობიერებს, რომ რეგიონული დაძაბულობის შემცირება და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის დასრულება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. პარადოქსულია, მაგრამ იმ დროს, როდესაც რეგიონზე მსჯელობისას „ცივი ომის“ რიტორიკას უხვად იყენებენ, საქართველოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და გრძელვადიანი უსაფრთხოება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ ამ მანკიერი წრის გარღვევას.

გასული ცხრა თვის განმავლობაში საქართველო ჩართული იყო ორმხრივ და მრავალმხრივ დიპლომატიურ საქმიანობაში, რომელსაც ზურგს უმაგრებდა რეფორმების ყოვლისმომცველი პროგრამა. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში ჩვენი კონსტრუქციული თანამშრომლობის, კონფლიქტის გადაწყვეტისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ჩვენი ნაბიჯების წყალობით, ურთიერთობა რუსეთთან გამოსწორებისკენ მიდის – მაგალითად, აღდგა ლიმიტირებული ვაჭრობა.

ამ პროგრესმა, ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიულმა რეფორმებმა და საქართველოს მნიშვნელოვანმა წვლილმა საერთაშორისო უსაფრთხოებაში, განსაკუთრებით კი ავღანეთში, ათქმევინა ნატო-ს გენერალურ მდივანს, რასმუსენს, ივნისში საქართველოში ვიზიტისას შემდეგი სიტყვები: საქართველო **„ახლა უფრო ახლოსაა, ვიდრე ოდესმე“ ალიანსის წევრობასთან. ამასთანავე, ნოემბერში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე ჩვენ ვაპირებთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას.**

ქვეყნის შიგნით, ჩვენი პრიორიტეტია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება, გარდა ამისა, ისეთი რეფორმების გატარება, რომელიც გაზრდის ძალთა ბალანსს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის; განამტკიცებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, პრესის თავისუფლებას და ბოლოს მოუღებს დაუსჯელობას. ევროპის კომისია, ევროპის საბჭო, აშშ-ს იურიდიული და სახელმწიფო დეპარტამენტები, ეუთო და უამრავი სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია აკვირდება პროცესს და აღიარებს მის პოზიტიურ შედეგებს.

9 თვის განმავლობაში საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. 1 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა ვერდიქტი. ეს ვერდიქტი ერთგვარი ტესტი იყო სასამართლოსთვის, რომელმაც ახლახან მოიპოვა დამოუკიდებლობა იმისთვის, რომ აღადგინოს სამართლიანობა მას შემდეგ, რაც წლების მანძილზე მაღალჩინოსნები არაფერზე აგებდნენ პასუხს. ქვეყანაში, სადაც მთავრობის შეცვლამდე, სასამართლო პროცესების 99 პროცენტი გამამტყუნებელი განაჩენით სრულდებოდა, გამამართლებელი ვერდიქტი ზოგიერთ იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომელიც უკიდურესად წინააღმდეგობრივ ფიგურას, შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიას გამოუტანეს, ისტორიულ მომენტს წარმოადგენს. 26 ოქტომბერს საქართველო პირველად ჩაატარებს რეალურად თავისუფალ და სამართლიან საპრეზიდენტო არჩევნებს. მთავრობამ პროცესში ჩართო ასეულობით პოლიციელი, რათა მათ დაიცვან ოპოზიციური პარტიების წევრების უსაფრთხოება წინასწარი შეხვედრებისას, იმის მაგივრად, რომ ხელისუფლება კამპანიაში ჩასარევად გამოეყენებინა.

ხუთი წლის წინ, მწარე მაგალითზე ჩვენ მივხვდით, რომ არ არსებობს მოკლე გზები, რომლებიც ქართველი ხალხის ევროატლანტიკური მომავლისკენ სწრაფვას აღასრულებს. საჭირო გახდა კიდევ ოთხი წელი, რომ ეს ბოლომდე გაგვეცნობიერებინა, მაგრამ ახლა ნამდვილად სწორი მიმართულებით მივდივართ. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება მნიშვნელოვანი საფუძველია ამ მიზნის საბოლოოდ განხორციელებისათვის“, — წერს გამოცემა.

ვლადიმერ პუტინი ნობელის პრემიაზე წარადგინეს... მშვიდობის დარგში!

ალბათ ყველაფერს აქვს საზღვარი... უსინდისობის გარდა! სინანული კი ის კატეგორიაა, რომელიც ადამიანს (პოლიტიკოსიც ადამიანია და, იმედია, პუტინიც) უფლისგან ეძლევა, რათა სული გადაირჩინოს!

პოლიტიკოსი, რომლის კისერზეა კურსკის ტრაგედია, ბესლანის სისხლიანი სპეცოპერაცია და ბოლოსდაბოლოს, 2008 წლის ომი საქართველოსთან, მშვიდობის და რგში ნობელის პრემიის კანდიდატად სახელდება და მთავარ დამსახურებად ჩეჩნეთის გენოციდი ეთვლება!

რუსეთის განათლების ფონდმა პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ნობელის პრემიაზე წარადგინა. როგორც ტელეკომპანია „ენტევე“ იუწყება, რუსეთის განათლების ფონდის პრეზიდენტმა, სერგეი კომკოვმა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ნობელის პრემიის კანდიდატად მშვიდობისთვის ბრძოლისა და განათლების განვითარების ძალისხმევის გამო წარადგინა.

რუსეთის განათლების ფონდის ექსპერტის, ოლეგ სერგეევის განცხადებით, ვლადიმერ პუტინის დამსახურებაა ის, რომ ჩეჩნეთში ომი შეწყდა.

„ის დოკუმენტაცია, რომელიც პრეზიდენტის კანცელარიიდან გამოდის, ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიას უკავშირდება, რომელიც ყოველთვის მიმართულია განათლების სისტემის სრულყოფისა და ქვეყნის სრული მასშტაბით ხელმისაწვდომობისთვის, რაც რუსეთის მსოფლიო დონის განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს“, — აცხადებს ოლეგს სერგეევი.

სერგეევმა ისიც აღნიშნა, რომ ვლადიმერ პუტინი მომხრეა, სირიაში კონფლიქტი არა საომარი მეთოდებით, არამედ პოლიტიკური გზით მოგვარდეს.

ისე, რატომაც არა, კარგი იქნება, პუტინის კანდიდატურის წარდგენისას ანოტაციას თან დაერთოს ბესლანში დაღუპული ბავშვებისა და საქართველოსა და ჩეჩნეთში მოწყობილი გენოციდის ფოტოები, რადგან ნობელის ანდერძის მიხედვით, „პრემია ნაწილდება იმ ადამიანებზე, ვინც ყველზე მეტი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას გასული წლის განმავლობაში“, პუტინი კი არა მხოლოდ 2012 წლის განმავლობაში, აგერ უკვე ათეული წლებია, რუსეთის უცვლელი „იმპერატორია“ და კაცობრიობის ისტორიაში „ფასდაუდებელი ღვაწლი“ შეაქვს — მცირე ერების გენოფონდს ანადგურებს, სხვათა შორის, საკუთარი ერისასაც... რეპლიკის მორალი: ნობელის პრემიის ლაურეატი (ლიტერატურის დარგში —?!), გენიოსი პოლიტიკოსი უისტონ ჩერჩილი ამბობდა: **„მეგონა, სიბერით მოვკვდებოდი, მაგრამ როცა მთელი ევროპის პურის ბელელმა, რუსეთმა, მარცვლეულის შესყიდვა დაიწყო, მივხვდი, რომ სიცილით სიკვდილი მეწერა!“** ვფიქრობ, ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, რადგან „ენტევეს“ ინფორმაციის თანახმად, ცოტა ხნის წინ, საფრანგეთშიც გამოვიდნენ ინიციატივით, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭოს. ფრანგების ის ნაწილი, რომელიც პუტინისთვის ნობელის პრემიის მინიჭებას იზიარებს, დარწმუნებულია, რომ თუ ამერიკული აგრესიისა და დარტყმებისგან სირია გადარჩება, ეს პუტინის დამსახურება იქნება, რომელსაც უფრო მეტი ექნება მსოფლიოში მშვიდობისთვის გაკეთებული, ვიდრე ნობელის ლაურეატ ბარაკ ობამას.

სიცილით სიკვდილი გარდაუვალი კი მაშინ იქნება, თუკი ვლადიმერ პუტინს ნობელის პრემიას მართლაც მიანიჭებენ და ზეთისხილის რტოებით დამშვენებული დაიწყებს საქართველოსთან მოლაპარაკებებს...

„ვერსიანიუსი“

ზურაბ აბაშიძე და გრიგორი კარასინი პრაღაში რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხს განიხილავენ

„საქართველო-რუსეთის დიალოგის საწყის ეტაპზე ხელშესახები შედეგები ნამდვილად გვაქვს, — აცხადებს „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე და დიალოგის რამდენიმე დადებით შედეგს ასახელებს:



1. მნიშვნელოვნად იკლო ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის „ტემპერატურამ“, შემცირდა სამხედრო კონფლიქტისა და ძალადობის განახლების ალბათობა;

2. დიალოგის პირველ ეტაპზევე შესაძლებელი გახდა ისეთი პრაქტიკული საკითხის მოგვარება, როგორიცაა ქართული პროდუქციის (ღვინო, მინერალური წყლები) დაბრუნება რუსულ ბაზარზე. სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოდან განახლდება მცენარეული პროდუქციის ექსპორტი (ხილი, ბოსტნეული, ციტრუსები). საერთო ჯამში, წლის ბოლომდე რუსეთში შევა, დაახლოებით, 100 მლნ დოლარის საფასურის პროდუქცია, რაც გარკვეულად, წაეხმარება ჩვენს სოფლის მეურნეობას. ეს მოცულობა მომავალი წლიდან კიდევ უფრო გაიზრდება;

3. გვარდება საკითხი რუსეთის მიმართულებით საავტომობილო სატრანსპორტო გადაზიდვებში ქართული კომპანიების ჩართვის შესახებ, რაც ერთი მხრივ, წაადგება ჩვენს კომპანიებს, ხოლო მეორე მხრივ, შეამცირებს ქართული პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯებს; 10 სექტემბერს გაიხსნა ახალი თანამედროვე საბაჟო-გამშვები ტერმინალები საქართველო-რუსეთის საზღვარზე (ყაზბეგი-ზემო ლარსი), რაც უთუოდ, შეუწყობს ხელს ორმხრივი მიმართულებით ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილებას;

4. ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დაძაბულობის შემცირება ხელს უწყობს, ზოგადად, ინვესტორების, კერძოდ კი, რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების დაინტერესებას საქართველოში ბიზნესის წარმოების მიმართ;

5. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში პოზიტიური ელემენტების გაჩენამ ხელი შეუწყო მიმდინარე წელს, საქართველოში რუსი ტურისტების მნიშვნელოვან მატებას. ეს ემსახურება, ზოგადად, ტურიზმის განვითარებისა და ამ სფეროში ჩართული ათასობით ადამიანის ინტერესებს. რეგულარული ავიამიმოსვლის აღდგენა კიდევ უფრო გაზრდის რუსი ტურისტების რაოდენობას; არის სხვა პოზიტიური ელემენტებიც, თუმცა წინ გაცილებით რთული სამუშაო გველის.

პრაღაში, 20 სექტემბრამდე დაგეგმილ მორიგ შეხვედრაზე კი მოლაპარაკება რამდენიმე საკითხზე გაგრძელდება, რაც სავარაუდოდ, წარმატებით უნდა დასრულდეს, კერძოდ, როგორც ზურაბ აბაშიძე აცხადებს, „ველით სავიზო რეჟიმის გამარტივებას საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიებისთვის, რაზეც რუსეთის მხარე ბოლო თვეების განმავლობაში საუბრობს. აღსადგენია რეგულარული ავიარეისები. ამასთანავე, ჩვენ შევეცდებით, ჯერ იდეების დონეზე განვიხილოთ წინადადებები ჩვენი დიალოგის მომდევნო ეტაპისთვის. ჩვენ გვაქვს გარკვეული მოსაზრებები. ალბათ ბატონი კარასინიც გაგვაცნობს თავის სამომავლო ხედვას. ქართულ-რუსული ურთიერთობების გაჯანსაღებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ჟენევის ფორმატის წარმატებულ საქმიანობას. გამოვთქვამთ იმედს, რომ ჟენევის კონსულტაციებში ახლო მომავალში გაჩნდება პოზიტიური დინამიკა“.

ევრაზიულ კავშირში საქართველოს შესაძლო გაწევრიანებაზე პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის განცხადებას დიდი ხმაური მოჰყვა, თუმცა ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ „სამყაროს ყველა საკუთარი ეჭვის თვალით უყურებს. ბატონმა ივანიშვილმა თქვა მარტივი და ლოგიკური რამ. კერძოდ, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ ნატო-სა და ევროკავშირში და ამისთვის ვდგამთ ეფექტურ ნაბიჯებს. ეს ჩვენი ისტორიული არჩევანია. მას შემდეგ, რაც გავხდებით ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი, ამის პარალელურად, შეიძლება ვიფიქროთ სხვა რეგიონულ გაერთიანებებთან მჭიდრო თანამშრომლობაზე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება და წაადგება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. საბაჟო კავშირის ქვეყნებთან ჩვენ ვთანამშრომლობთ და მომავალში ამ თანამშრომლობამ შეიძლება უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღოს. რატომ არის ეს სკანდალური განცხადება? ნეტავ, რას იტყვიან ჩვენი ოპონენტები მას შემდეგ, რაც ნოემბერში პარაფირებული იქნება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის ხელშეკრულება? ესეც საგარეო კურსის ცვლილებაზე მიანიშნებს? როგორც ახლახან, ბალტიისპირეთში პრემიერ-მინისტრის ვიზიტისას გაირკვა, ამ ხელშეკრულების ხელმოწერა შეიძლება უკვე მომავალი წლის ზაფხულში მოხდეს. ეს იმის დასტურია, რომ ევროკავშირში მხარს უჭერენ და მიესალმებიან საქართველოს ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკას!“

„ვერსიანიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7			4			8		
		6		5				
5	1	9					2	7
2				9			8	
1		8		2		7		4
	4			8				2
3	7					9	4	5
				4		6		
		4			5			1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			8		1		7	
	9			5	4			
3								6
	1	2	3					4
7				1				3
4					5	2	1	
2								5
			5	6			8	
	6		2		3			

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	6	5			1	8		7
	9	7				3	2	
			3					
			8		2	6		
	1	9				4	5	
		8	5		9			
					8			
	8	6				7	3	
9		4	1			5	8	6

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲠᲗᲘ

3						6		
	4						3	5
5	8			4				
	7	1			5			
8			4		9			3
			6			1	8	
				3			5	6
7	3						4	
		4						1

მონყენილობა საშიშია?

ესპანელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ სამსახურში ადამიანის დაღლილობის მიზეზი მხოლოდ სტრესი კი არა, მოწყენილობაცაა. სარაგოსას უნივერსიტეტის ფსიქიატრების თქმით, ყოველდღიურად ერთი და იგივე საქმის შესრულება თანამშრომლებს უფრო მეტად ღლის, ვიდრე სტრესი. გამუდმებულ მოწყენილობას ადამიანი აპათიამდე მიჰყავს. სპეციალისტებმა 500-მდე ადამიანი გამოკითხეს და გაარკვიეს, რომ სამსახურში მოწყენილობა ყველაზე მეტად აწუხებს მომსახურების სფეროში მომუშავეებს, ერთფეროვნებისგან თავის დასაღწევად კი სწავლულები მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას, მეგობრებთან ხშირ შეხვედრებსა და ახლობლებთან ურთიერთობას ურჩევენ.

მავნე ჩვევა მემკვიდრეობითია

მოზარდებს, რომელთა მშობლებს ესა თუ ის მავნე ჩვევა ახასიათებს ან დამოკიდებულია ნარკოტიკსა და ალკოჰოლზე, საკმაოდ მაღალი რისკი აქვთ, მომავალში იგივე თვისებები ერგოთ მემკვიდრეობით. სწავლულების თქმით, ამას ის ფაქტი განაპირობებს, რომ შვილებსა და მშობლებს ტვინი ერთნაირად აქვთ მოწყობილი. აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ ახალგაზრდებს ახასიათებს იმპულსური ქმედებები, არამედ უფროსებსაც. ამჟამად მიღებული შედეგებით, შესაძლოა, შემუშავდეს სხვადასხვა სახის დამოკიდებულების მკურნალობისა და პროფილაქტიკის ეფექტური სტრატეგიები. ადრე ჩატარებულმა კვლევებმა უკვე აჩვენა, რომ ეკოლოგიურ ფაქტორებს შეუძლია ადამიანები საფრთხის ქვეშ დააყენოს, რაც მთლიანობაში, ორგანიზმის ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას და მთელ რიგ ნეგატიურ შედეგებსაც იწვევს.

ძაღლის „წამებისთვის“ დააჯარიმეს

სინგაპურის მცხოვრები როი ჩუნგი 5 ათასი სინგაპურული დოლარით (3921 დოლარი) დააჯარიმეს იმის გამო, რომ საკუთარი ძაღლი აივანზე დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა ჩაკეტილი და ამით ცხოველს „ტანჯვა მიაყენა“. ბორდერ-კოლის ჯიშის ძაღლი, დაახლოებით, ნახევარი წლის განმავლობაში, დღეში ექვსი საათით მაინც იყო აივანზე ჩაკეტილი, მიუხედავად იმისა, ცხელოდა თუ წვიმდა. ძაღლის მფლობელი აცხადებს, რომ არ დაფიქრებულა ოთხფეხა მეგობრის ტანჯვაზე, რადგან ის უკმაყოფილებას არაფრით გამოხატავდა, მოსამართლემ კი ბრალდებულს განუცხადა, რომ ძაღლის კეთილდღეობა არ არის დამოკიდებული იმაზე, ჯანმრთელია თუ არა და ასეთი დამოკიდებულება სასტიკი მოპყრობის ტოლფასია.

წინა ნომერში გასუღლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	9	5	3	8	6	4	7	1
4	3	8	2	1	7	9	5	6
1	7	6	4	9	5	3	2	8
5	8	4	7	6	3	2	1	9
9	2	7	5	4	1	8	6	3
6	1	3	9	2	8	7	4	5
8	6	2	1	7	9	5	3	4
7	5	1	8	3	4	6	9	2
3	4	9	6	5	2	1	8	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	5	1	9	2	4	3	8	7
3	4	9	1	8	7	6	5	2
2	7	8	6	5	3	4	1	9
1	6	4	3	9	2	8	7	5
9	8	7	5	1	6	2	4	3
5	2	3	7	4	8	9	6	1
4	3	6	2	7	5	1	9	8
8	9	5	4	3	1	7	2	6
7	1	2	8	6	9	5	3	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	5	2	8	7	9	4	6	1
4	1	9	3	2	6	8	7	5
8	7	6	4	5	1	3	2	9
2	6	3	5	9	8	1	4	7
1	9	4	2	6	7	5	3	8
7	8	5	1	4	3	2	9	6
9	2	1	7	3	5	6	8	4
6	4	8	9	1	2	7	5	3
5	3	7	6	8	4	9	1	2

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲠᲗᲘ

2	9	4	8	7	1	6	5	3
1	8	6	3	5	9	4	2	7
5	3	7	2	6	4	9	1	8
7	6	3	1	9	5	8	4	2
4	2	5	7	3	8	1	9	6
9	1	8	6	4	2	7	3	5
3	7	2	4	1	6	5	8	9
8	5	1	9	2	7	3	6	4
6	4	9	5	8	3	2	7	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	3	1	2	5	8	7	6	4
2	6	4	3	1	7	9	8	5
5	8	7	6	9	4	3	2	1
1	7	9	4	3	2	8	5	6
8	5	3	1	7	6	4	9	2
6	4	2	9	8	5	1	7	3
7	2	8	5	4	3	6	1	9
4	1	6	8	2	9	5	3	7
3	9	5	7	6	1	2	4	8

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲠᲗᲘ

2	6	1	4	5	7	9	8	3
3	4	9	8	2	6	5	1	7
8	7	5	1	3	9	6	4	2
1	8	4	2	6	3	7	5	9
9	5	3	7	1	8	2	6	4
6	2	7	9	4	5	8	3	1
5	3	2	6	9	4	1	7	8
4	1	8	5	7	2	3	9	6
7	9	6	3	8	1	4	2	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	1	7	4	5	2	3	9	8
9	5	3	1	8	7	6	2	4
2	4	8	9	3	6	7	5	1
3	2	4	8	1	9	5	7	6
8	9	1	6	7	5	4	3	2
7	6	5	3	2	4	1	8	9
5	3	6	2	9	1	8	4	7
4	8	2	7	6	3	9	1	5
1	7	9	5	4	8	2	6	3

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲠᲗᲘ

6	5	1	9	8	3	7	2	4
4	3	2	5	7	1	8	6	9
9	8	7	6	4	2	5	3	1
1	7	6	2	9	8	4	5	3
5	4	8	3	1	7	6	9	2
3	2	9	4	5	6	1	8	7
8	1	5	7	3	9	2	4	6
2	9	4	1	6	5	3	7	8
7	6	3	8	2	4	9	1	5

მე-13 გვერდი: 1. სირია; 2. ეგიდა; 3. გარსევანი; 4. დანტისტი; 5. ქსენძი; 6. საფიხვნო; 7. ნინევია; 8. ბრინჯი; 9. ფენომენი; 10. სტენდალი; 11. „აფონია“; 12. ხავსი; 13. საროსი; 14. ავგია; 15. დეფისი; 16. იგავი; 17. ვესტა; 18. ეტნა; 19. ნუარე; 20. ნოინი; 21. ექოლოტი; 22. ტრიენალე; 23. ლოუ; 24. ფსტა; 25. მის; 26. რესპონდენტი; 27. არკა; 28. რობერტ ფიშერი; 29. უფლისციხე; 30. საბოტაჟი; 31. ბაქრაძე; 32. კილტი; 33. პინია; 34. ლეო; 35. ენგრი; 36. „ბიუიკი“; 37. კალუგა; 38. არგო; 39. ბენ; 40. ორეგონი; 41. აისბერგი; 42. აპერკოტი; 43. ერე; 44. პო; 45. რელსი; 46. ბაგირა; 47. ერგი; 48. ნიონი; 49. ბეცი; 50. ნიუტონი; 51. რეინი; 52. ფაფახი; 53. აფოცი; 54. ლალიონი; 55. დაგერი; 56. სია; 57. „ილიადა“; 58. რავიოლი; 59. ნევა; 60. შეთე; 61. ლეკალო; 62. მაიკ; 63. ნემო; 64. მეი; 65. ადათი; 66. იფანი; 67. გოა; 68. აის; 69. მესა; 70. ვადუცი; 71. ლილო; 72. რკო; 73. რასტრი; 74. „ქართუ“; 75. ალიონა; 76. ლიბო; 77. კიატი; 78. ათას; 79. ტაი; 80. სულუ; 81. აფიქსი; 82. ასია; 83. ორხაო.

მე-16 გვერდი: 1. მეგალომანია; 2. მისტრალი; 3. არმრესტლინგი; 4. ოფიცერი; 5. ანათემა; 6. იმამი; 7. ფელინი; 8. ლიანოსი; 9. ტყე; 10. ასი; 11. ცათამბჯენი; 12. ანოფელესი; 13. სტუდია; 14. სკვაირი; 15. აფრა; 16. ემი; 17. სტავრა; 18. რემა; 19. ადიულტერი; 20. ჯონ; 21. ნესი; 22. „ველა“; 23. იბნ; 24. ნაია; 25. უფა; 26. ორსკი; 27. ნევადა; 28. ტრიტონი; 29. სტილეტი; 30. სარსუელა; 31. სოული; 32. ოდრი; 33. „სანტოსი“; 34. ნიქსონი; 35. ოკულარი; 36. რიფი; 37. მახრა; 38. იარ; 39. სოლ; 40. ეტა; 41. ტროპარი; 42. ფიორდი; 43. ჯინსი; 44. „ლექსუსი“; 45. ლარი; 46. ლია; 47. კუტი; 48. აკრი; 49. „აია“; 50. ომალო; 51. „ლომისი“; 52. ბაო; 53. სელი; 54. დანი; 55. ივ; 56. სარიდანი; 57. ირაო; 58. ბაკალეა; 59. გონერილა; 60. აირი; 61. და; 62. დასი; 63. იან; 64. ავი.

1. ოსმალეთის მეფე, სულთანი
2. ხის ჩასაბერი საკრავი
3. დიდი, გამანადგურებელი ცეცხლი
4. მბრწყინავი რგოლი წმინდანის თავზე
5. ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ...“
6. იგივეა, რაც ეთილის სპირტი
7. არაკანონიერი ნათქ. დანიშნა თანამდებობაზე
8. ადამიანის პარაზიტი მწერი
9. ფიგურუ-ლი ნიშანი ჩინურ დამწერლობაში
10. შოტლანდიური ფეხბურთის ვარსკვლავი
11. ათი მანეთის ძველი სახელწოდება
12. ხევსურთა ღვთაება
13. მონა ქალი ბრაზილიურ სერიალიდან
14. ჭადრაკის ფიგურა
15. ბანქოს ფიგურა
16. პატარა საწნახელი
17. ევკალიპტის დათვი
18. ჯეოსელის ბარათი
19. პოპულარული მელოდია, შლაგერი
20. გულივერის სახელი
21. იაპონიის კუნძული
22. სასვენ ნიშანთა ხმარების წესი
23. ყველაზე დიდი ანტილოპა
24. რუსული გასართობი ჟურნალი ქალებისათვის
25. პურეულის ნამჯის ნალეწი
26. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
27. ინდიელთა ფეხსაცმელი
28. საანგარიშო დაფა ძველ საბერძნეთში
29. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
30. უკრაინული ხალხური ცეკვა
31. ფრანგი ფეხბურთელი ... დიარა
32. როკ-ენ-როლის „დედოფალი“
33. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
34. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი
35. ფრანგული ყველის სახეობა
36. ინდიელთა ტომი
37. მელოტის „ოცნება“
38. ბერძნული ანბანის ასო
39. ქალაქი საფრანგეთში
40. კენიის დედაქალაქი
41. ბრაზილიის მეგაპოლისი ...-დე-ჟანეირო
42. დიდი ოსტატობა, ვირტუოზულობა სელოვნებაში
43. მედუდუკეთა ანსამბლი
44. ზევსის თავიდან შობილი ასული
45. თოვლის ჯიქი
46. ესპანელი ფეხბურთელი ... პუიოლი
47. რუსული მცირელიტრაჟიანი ავტომობილი
48. იტალიელი ფილოსოფოსი და პოეტი
49. ჯაკომო პუჩინის ოპერა
50. ფრედი მერკურის ჯგუფი
51. ქალაქი რაჭა-ლეჩხუმის მხარეში
52. ღმერთის სახელი იუდაიზმში
53. ადამიანის სამეტყველო ორგანო
54. სახალხო პოეტის ტიტული
55. წვრილი ხმით გულიანი სიცილი
56. იტალიელი პოეტი ტორკვატო ...
57. სპორტული ცურვის ხერხი
58. თიხის ტაფა
59. „ტრამალის მგელის“ ავტორი
60. ავტორი ნაშრომისა „რომის ისტორია“
61. სოკოვანი დაავად. წამალი
62. I პირის ნაცვალსახელი
63. ეტნის მთის ქვეშ მწოლიარე გველეშაპი
64. „ოტელოს“ პერსონაჟი
65. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
66. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი
67. პოეტი ... ამაღლობელი
68. ტირიფის სახეობა
69. ხიზილალა - რუსულად
70. ჩეგევარას სახელი
71. ინგლის. მუსიკოსი ... ოსბორნი
72. რეგვენი, ხეპრე, უმეცარი
73. ათენის საფეხბურთო კლუბი
74. ქართული ანბანის პირველი ასო
75. შოტლანდიის ტბაში მობინადრე ურჩხული
76. „დრაკულას“ ავტორი ... სტოკერი
77. ეკლესიის უმცროსი მსახური
78. ზევსის სატრფო, რომელიც მან თეთრ ძროხად გადააქცია
79. ჰოლივუდის მსახიობი ვივიენ ...
80. ჩარლი ჩაპლინის მეოთხე ცოლი
81. „ნისანის“ მოდელი
82. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
83. გაფუჭებული კვერცხი
84. XX ს-ის ფრანგი დრამატურგი
85. მდინარე ციმბირში

ამერიკელებს ლედი დის გაცოცხლება სურთ

უჩვეულო გამოკითხვა ჩაატარა ამერიკულმა პოპულარულმა გამოცემამ Vanity Fair-მა და იმ ცნობილი ადამიანების რეიტინგი შეადგინა, ვის გაცოცხლებასაც ყველაზე მეტად ისურვებდნენ რესპონდენტები. ამ სიის სათავეში ბრიტანელი პრინცესა, ლედი დი აღმოჩნდა — მისთვის სიცოცხლის დაბრუნების სურვილი გამოკითხულთა 35%-მა გამოთქვა. ლედი დის მნიშვნელოვნად ჩამორჩა სტივ ჯობსი — კომპიუტერული გიგანტის, „ეპლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი — მას ხმა რესპონდენტთა 14%-მა მისცა. საპატიო მესამე ადგილი, 11-11%-ით, გაიყვეს მომღერლებმა — მაიკლ ჯეკსონმა და უიტნი ჰიუსტონმა. გამოგონილი გმირებიდან კი ამერიკელებს ყველაზე მეტად ჯეკ დოუსონის გაცოცხლების სურვილი აქვთ. დოუსონი „ტიტანიკის“ მთავარი გმირია, რომელსაც ლეონარდო დი კაპრიო ასახიერებს.

ჰოროსკოპი
16 სექტემბერი

ვერძი — არ არის გამორიცხული, კოლეგებმა და ხელმძღვანელობამ არასწორად გაგიგონ, ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში და თქვენი შეხედულებები კოლეგებს სხვა დროს გაუზიაროთ.

კურო — თუ იშრომებთ, სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ. დაწყებული საქმეების მოგვარებაში დაგეხმარებათ ახლობლების ან მეგობრების რეკომენდაციები. ნუ მოეშვებით, დღის განმავლობაში ყურადღებით იყავით, რადგან გასხსნილი კონება და თავისუფალი აზროვნება აუცილებლად გეჭირდებათ.

ტყუპები — დღე უფროსებთან კამათს გიქადით, მაგრამ მაინც საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მიმართავთ და არც ფიზიკურ დატვირთვაზე იტყვით უარს. საქმე არც ისე რთული, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება.

კირჩხიბი — ეოგელ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თემაც აქტუალური გახდება.

ლომი — კარგი დროა კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. ბევრმა ლომმა შესაძლოა, პრემია ან ჰონორარი მიიღოს. რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება ძალიან გეზარებათ.

ქალწული — ქალწულებისთვის დღე, შესაძლოა, უსიამოვნებით დაიწყოს, ამიტომ მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტს ახლობლებსა და ხელქვეითებთან. შეგიძლიათ ბევრი იფანტაზიოროთ, ეს ხელს ვერ შეგიშლით, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში.

სასწორი — სამსახურში განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყავით, თავაზიანობა და მომხიბვლელობა მოგეთხოვებათ. ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები აფრთხილებენ, ჯანმრთელობასაც მიაქციონ ყურადღება. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, დაგეგმილი შეხვედრები ჩაგეშლოთ.

ღრიანცალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ფინანსური დანაკარგი ელით— ყველაფერი კი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება. არ არის გამორიცხული, დღის მეორე ნახევარში სასახარულო შეხვედრა შედგეს. ვარსკვლავები კი შეგახსენებენ, რომ ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმოთ.

მშვილდოსანი — დაგეგმილი მგზავრობა, შესაძლოა, არ შედგეს ობიექტური მიზეზების გამო, ფინანსურ ოპერაციებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღის მეორე ნახევარში შეცდეთ, დრო ოჯახის პატარა წევრებისთვისაც გამონახოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

თხის რქა — განსაკუთრებით დაკავებული ხართ და არ გეოფნით დრო ურთიერთობებისთვის. მამაკაცები ორიგინალურობას გამოიჩენენ მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში. წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებისთვის, ფინანსების მხრივაც ყველაფერი კარგადაა, საღამოს კი შეცდეთ, მეგობრებს შეეხმიანოთ.

მერწყული — მერწყულებს მშვიდად ეოფნა მოეთხოვებათ. დიდია საკვებით მოწამლის ალბათობა. სასიამოვნო და სასახარულო კი უფროს ნათესავებთან ურთიერთობა აღმოჩნდება დღის მეორე ნახევარში მეგობრების სტუმრობას უნდა ელოდეთ. რაც შეეხება საქმეს, მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ ფინანსურ ოპერაციებში და სასურველი შედეგიც არ დაგაყოვნებს.

თევზები — შესანიშნავი დღეა შეხვედრებისა და პაემნისთვის. სახლის საქმეებიც კარგად მიდის. რაც შეხება სამუშაოს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან. საღამო ოჯახურ გარემოში გაატარეთ, თუ გართობა გსურთ, მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე წადით.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

ტუალეტების წმენდა — „თერაპია“

ადამიანების უმრავლესობა საზოგადოებრივ ტუალეტებს ზიზღით უყურებს და ცდილობს, ზედმეტად არ შევიდეს იქ. იაპონური სოციალური კლუბის Benjyo Soujer წევრები კი იქ დასუფთავებისთვის დადიან და ამაში კაპიკსაც არ იღებენ — ეს მათთვის ერთგვარი თერაპიული ჰობია. კვირა დღეს, დილით, 35-კაციანი ჯგუფი, რომელშიც უფროსებიც არიან და ბავშვებიც, ტოკიოს საზოგადოებრივი ტუალეტების დასასუფთავებლად მიემართება. ეს ადამიანები საკუთარ სოციალურ მისიას სწორედ საპირფარეშოს დალაგებაში ხედავენ. ათასგვარი საშუალებით აღჭურვილები, კაბინებისკენ მიემართებიან და იქიდან მხოლოდ მაშინ გამოდიან, როცა ყველაფერი სისუფთავით ბრწყინავს. ამ კლუბის ყველა წევრი უსასყიდლოდ იღვწის.

შპიონი წერო დააპატიმრეს

ეგვიპტის პროვინცია კენაში, სამართალდამცავებმა წერო დააპატიმრეს, რომელზეც ერთ-ერთმა მოქალაქემ შპიონაჟში მიიტანა ეჭვი. მიზეზი, რის გამოც ფრინველმა ასეთი დამოკიდებულება გამოიწვია, მასზე მიმაგრებული უცნაური მოწყობილობა აღმოჩნდა, რაც სამართალდამცავებმა სათვალთვალოდ ჩათვალეს, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ წეროს მოწყობილობა ფრანგმა ორნიტოლოგებმა მიამაგრეს, რომლებიც ამგვარად იკვლევენ გადამფრენი ფრინველების მარშრუტს. კენას პოლიციის უფროსმა კი სიამაყით განაცხადა, რომ მომხდარი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პატრიოტიზმზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ არასტაბილური მდგომარეობის გამო, ეგვიპტეში ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა სახის კონსპირაციული თეორიები და ხშირად ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედებებში ცხოველებს ადანაშაულებენ. მაგალითად, ორიოდე წლის წინ იყო ვერსია, რომ ხმელთაშუა ზღვაში ადამიანებზე მონადირე ზვიგენები ისრაელის ინტერესებით მოქმედებდნენ.

ჰოროსკოპი
17 სექტემბერი

ვერძი — სერიოზული პროფოკაციებისა და გაუგებრობის დღეა. არ დირს, ახალი საქმით დაკავდეთ, სჯობს, ძველ დოკუმენტებში გერკვეთ. დღე სასიკეთოა საკამათო საკითხებისა და სასამართლო საქმეების მოსაგვარებლად — შედეგი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ.

კურო — კუროებს ვარსკვლავები უჩჩევენ, საქმიანი აქტივობა ცოტა შეანელონ, ფინანსურ დანაკარგს თავი რომ აარიდონ. სამსახურში მოსალოდნელია მცირე უსიამოვნება, მაგრამ რაც ხდება, თქვენზე არ არის დამოკიდებული.

ტყუპები — არაა სასურველი საქმიანი მოლაპარაკება, სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ მატერიალურ დანაკარგს. დღის პირველ ნახევარში შესაძლოა უთანხმოება პარტნიორებთან ან უფროსობასთან, საღამოს კი მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება. კარგი დღეა მეგობრებთან შეხვედრისთვის, ახალი ნაცნობობისთვის.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს მცირე უსიამოვნება ელით. საქმე, რომლითაც ხართ დაკავებული, ძალიან უინტერესოდ გეჩვენებათ. მტკივნეული რეაქცია ნუ გექნებათ იმაზე, რაც ხდება, რადგან ბედს ვერ შეცვლით. სერიოზული მუშაობისთვის გახარჯეთ დრო, დღის მეორე ნახევარი კი ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან, მეუდრო გარემოში გაატარეთ.

ლომი — დღე არც ისე კარგია საკამათო საკითხების გადასაჭრელად, დიდია ალბათობა, რომ აქ წარმატებას ვერ მიაღწევთ. საყვარელი ადამიანისადმი პრეტენზიებმა, შესაძლოა, სკანდალამდე მიგიყვანოთ. ურთიერთგაგება თითქმის შეუძლებელია. ვარსკვლავები გირჩევენ, ემოციების გამომჟღავნებისგან თავი შეიკავოთ.

ქალწული — ქალწულებისთვის სერიოზული პროფოკაციების დღეა — ყველა თქვენს წინააღმდეგაა და ამას გაბრალებენ, რაც არ ჩაგიდენიათ. სხვადასხვა გაუგებრობის შედეგი მოულოდნელი და უსიამოვნო იქნება. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ. არ არის გამორიცხული, მოგატყუონ იმ ადამიანებმა, ვისზეც ხართ დამოკიდებული.

სასწორი — დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, თავი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმატებით წარმოაჩინოთ. ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. თქვენს გრძნობებსა და საქციელს შორის ბალანსი აღდგება.

ღრიანცალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა, მაგრამ საღამოს მაინც უკმაყოფილო იქნებით საკუთარი თავით. აუცილებელია, მმართველები თავიდან მოიშოროთ, შესაძლოა, ზედმეტად ფრთხილობთ, მაგრამ ახლობლებმა კარგად იციან, რომ საყვარელი ადამიანებისთვის თავგანწირვა შეგიძლიათ.

მშვილდოსანი — ვარსკვლავები გაძლევენ შანსს, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. თქვენი თავდაჯერებულობა, საქმიანი აქტიურობა და დინამიზმი სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. ახალი სამეღლეების დაპერობის სურვილი ურთიერთგამომრიცხავი ნაბიჯების გადადგმისკენ გიბიძგებთ. ნუ შეეცდებით ყველა პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტას, ცხოვრება თავად გიჩვენებთ საჭირო დროს.

თხის რქა — სერიოზული წინააღმდეგობების დღეა, ნებისმიერი კამათი საკანდალამდე მივა, რადგან დათმობას არც ერთი მხარე არ მოისურვებს. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად ყველაფერში სიფრთხილე გამოიჩინეთ. საღამოს შეგიძლიათ მოეშვათ და დრო მეგობრებთან ერთად სასიამოვნოდ გაატაროთ.

მერწყული — პრობლემების გადაჭრას მარტო ნუ შეეცდებით. ამ ნიშნის წარმომადგენელ ქალებს ვარსკვლავები აფრთხილებენ ოჯახის ხანშიშესულ წევრებთან ურთიერთობის გართულებაზე. თქვენი ფინანსური მდგომარეობა განპირობებს მომავალის გეგმების განხორციელებას. ბავშვების პრობლემებიც თქვენგან მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს.

თევზები — თქვენი სასიცოცხლო ძალები სუსტია, დასუსტებულია აურა და ძლიერდება გარემოს ნეგატიური ზემოქმედებაც. დაბნეულობის გამო, ძნელად აუწყობთ ფეხს სამუშაო რიტმს. დღე წარუმატებელია საქმიანი გარიგების, შეხვედრისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. მნიშვნელოვან საკითხებზე ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას, სჯობს, გადადოთ და საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		9						4
			1		5		2	
				6	9		8	
4	6			9				
2	3						7	5
				3			6	1
	2		4	8				
	9		2		3			
6						5		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4			3		2			
5	7				8		9	
			5	7				3
2	9						4	
	8						6	
	4						5	8
1				5	9			
	5		2				8	6
			1		6			9

ᲠᲗᲣᲚᲘ

	5	1				8		
8					2			
7					6	5		2
			3	9			5	
	1		7		8		6	
	9			4	5			
4		5	2					9
			9					5
		2				4	8	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	1			5			3	4
4					2		1	5
	6				1	2		8
			5		4			
		6				4		
			7		3			
9		4	3				5	
6	3		9					2
5	7			2			4	

ოროსნებს მათემატიკას 18 წლამდე ᲨᲔᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ

ბრიტანელ ოროსნებს დაავალდებულებენ, მათემატიკა 18 წლამდე ისწავლონ. ეს სიახლე იმ მოსწავლეებს შეეხება, ვინც ინგლისური ენის გამოსაშვებ გამოცდაზე დადებით შეფასებას ვერ მიიღებს. აქამდე ბრიტანელ მოსწავლეებს შეეძლოთ, ისე დაემთავრებინათ სკოლა, რომ მშობლიურ ენასა და მათემატიკაში მინიმალური ცოდნაც არ გამოემჟღავნებინათ, ახლა კი, ოროსანი მოწაფეები 11 წლის ზევით, ვალდებულნი იქნებიან, გააგრძელონ სწავლა ამ დისციპლინებში 18 წლის ასაკამდე. ახალი წესებით, ბრიტანეთის ხელისუფლება ცდილობს, მოზარდებს სწავლა აიძულოს, რათა შემდგომში, სამუშაოს პოვნა გაუადვილდეთ.

ბიზნესი განქორწინებაზე აᲐწყო

იტალიის პატარა ქალაქ მინჩიოს მცხოვრებ ფოტოგრაფს, 45 წლის ჯანი ფასოლინის ბრწყინვალე იდეა მას შემდეგ დაებადა, რაც წაიკითხა ინფორმაცია ქვეყანაში განქორწინებათა რიცხვის ზრდის თაობაზე. ის საქორწინო ალბომების მსგავს ნაკრებს აკეთებს, მხოლოდ ფოტოები გაყრას ეძღვნება. ქორწინების მსგავსად, განქორწინებაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენაა ცხოვრებაში, — ამბობს ფოტოგრაფი, — მთელი ცხოვრება ქორწილების ფოტოებს ვიღებდი და ვიფიქრე, რომ ზოგიერთ ადამიანს შეიძლება, განქორწინების აღბეჭდვის სურვილი გაუჩნდეს. ფოტოგრაფი მართალი აღმოჩნდა, როგორც კი ახალი მომსახურების შესახებ განცხადება გამოაქვეყნა, მის სალონთან მსურველთა რიგი დადგა. განქორწინებული წყვილები ფოტოსესიისას იღიმიან, ერთმანეთს ხელს ართმევენ და ზოგიერთი, საკმაოდ გაწონასწორებული ცოლ-ქმრის შემთხვევაში, მეუღლეები კოცნიან კიდეც.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲡᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

მკაცრი, ელეგანტური, დახვეწილი და გრაციოზული ინგლისელები მალე ისტორიას ჩაბარდება, მათ ადგილს კი, მსუქანი ადამიანები დაიკავებენ, უამრავი დაავადებით, რაც ჭარბი წონითაა გამოწვეული. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მომავლით აშინებენ ნისლიანი ალბიონის მაცხოვრებლებს სოციოლოგები. წლის ბოლოს მათ გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნეს, რომლის მიხედვითაც, ბრიტანელი ქალები ოფიციალურად ევროპაში ყველაზე მსუქნებად აღიარეს. ჭარბი წონისგან აქ 18-დან 24 წლამდე ასაკის სუსტი სქესის წარმომადგენელთა 16,6% იტანჯება და მაჩვენებელი გაცილებით უარესია, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისა. მაგალითად, ახალგაზრდა ფრანგ ქალებში სიმსუქნე მხოლოდ 12%-ს ახასიათებს, ესპანელებში — 14,4%-ს, იტალიელებში კი, მიუხედავად ქვეყანაში პოპულარული პიცის და მაკარონისა, ჭარბ წონას მხოლოდ 9,3% უჩივის. ბრიტანელ ქალებს დიდად არც აქაური მამაკაცები ჩამორჩებიან — მათი 22,1% ჭარბწონიანია, რაც ევროპაში მეორე უარესი მაჩვენებელია, მალტის შემდეგ.

Facebook ᲜᲐᲘᲜᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲔᲡ

ხორვატიის ერთი პატარა ქალაქის ნაყინის მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ და მიირთვათ ნაყინი, სახელად „ფეისბუქი“. ამ პოპულარული სოციალური ქსელის ლოგოტიპის გამოყენების უფლება, დაწესებულების მფლობელს, რასაკვირველია, არ აქვს. თუკი ცუკერბერგი დამირეკავს, მას ნებართვას ვთხოვ, — აცხადებს მეპატრონე. ახალი პირის ჩასატკბარუნებელის შექმნის იდეა ქალაქ ტისნოს მცხოვრებს მისმა ქალიშვილმა მიაწოდა, რომელიც დიდ დროს ატარებს სოციალურ ქსელში. მაღაზიის მფლობელმა, ძმასთან ერთად, „ფეისბუქის“ ნაყინის განსაკუთრებული გემო მოიფიქრა. ეს გამაგრილებელი ტკბილეული წარმოადგენს ნაღებს, რომელსაც ცისფერი სიროპი აქვს მოსხმული. ძმებმა სიახლე მაღაზიის ვიტრინაში გამოფინეს და „ფეისბუქის“ ლოგოც „დაადეს“. მისი ფასი ერთი ევროა. როგორც ჩანს, იდეამ გაამართლა, რადგან ახალმა ნაყინმა უმალ მოიპოვა პოპულარობა და მაღაზიის კლიენტთა რაოდენობაც მკვეთრად გაზარდა.

შეიძინეთ სადეპოზიტო სერტიფიკატი და 18%-მდე წლიური სარგებელი მიიღეთ

ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი არველაძემ სადეპოზიტო სერტიფიკატის შესახებ პრესკონფერენცია გამართა. სადეპოზიტო სერტიფიკატი ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის ფარგლებშიც, კლიენტი ბანკში, გარკვეული ვადით ანთავსებს დანაზოგს. ამით სადეპოზიტო სერტიფიკატს ყიდულობს, რაზეც მაღალი საპროცენტო სარგებელი ერიცხება.

როგორც გიორგი არველაძემ აღნიშნა, ლიბერთი ბანკი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ორი ტიპის — საპროცენტოსა და დისკონტურ სადეპოზიტო სერტიფიკატს სთავაზობს. სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა შესაძლებელია ლარსა და აშშ დოლარში. მისი ნომინალური ღირებულება, მინიმუმ, 1 000 ლარი (ან მისი ეკვივალენტი აშშ დოლარში), ხოლო მაქსიმალური ღირებულება შეუზღუდავია.

„სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობისას, შესაძლებელია ანაბრებს შორის ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელის მიღება, 14%-დან 18-%მდე — წლიური საპროცენტო სარგებელი ლარში; 6.50%-დან 11.75%-მდე — წლიური საპროცენტო სარგებელი აშშ დოლარში. სადეპოზიტო სერტიფიკატი, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მაღალი საპროცენტო სარგებელის მიღების შესაძლებლობას იძლევა, რომლის შეძენა შესაძლებელია 60 თვემდე ვადით. შესაბამისად, უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე სტანდარტული ვადიანი ანაბარია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაც უფრო მეტია სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა, მით უფრო ხანგრძლივად იღებს კლიენტი მაღალ საპროცენტო სარგებელს“, — განაცხადა გიორგი არველაძემ.

მისი თქმით, სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს, ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა, სერტიფიკატი სხვა პირზე გაყიდოს და მიუხედავად ამისა, მაღალი საპროცენტო სარგებელი მიიღოს:

„სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს თუ თანხა დასჭირდა, მაგრამ სურს, სერტიფიკატი შეინარჩუნოს, რომელზეც მაღალი საპროცენტო სარგებელი ერიცხება, მას აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს იაფი კრედიტით (ლარში), რომელსაც სადეპოზიტო სერტიფიკატით უზრუნველყოფს. კრედიტის წლიური პროცენტი, სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიურ საპროცენტო განაკვეთს + 1.00%-ია. როგორც დისკონტური, ასევე საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა შესაძლებელია ლიბერთი ბანკის მიერ, მისი გამოსყიდვის უფლებით, ან აღნიშნული უფლების გარეშე“.

გიორგი არველაძემ აღნიშნა, რომ ბანკი არ არის ვალდებული, სადეპოზიტო სერტიფიკატი კლიენტისგან გამოისყიდოს, მათ შორის, როდესაც კლიენტს მისი გაყიდვა სურს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს ისეთი სადეპოზიტო სერტიფიკატით, რომელზეც ბანკის მიერ სერტიფიკატის გამოსყიდვის უფლება ვრცელდება, ლიბერთი ბანკს უფლება აქვს, აღნიშნული სერტიფიკატი, მისი შეძენიდან 24 თვის შემდეგ, ნებისმიერ დროს გამოისყიდოს.

თუ ბანკი, გამოსყიდვის უფლების გამოყენებით, სადეპოზიტო სერტიფიკატს გამოისყიდის, კლიენტს სერტიფიკატის გაყიდვიდან მიღებული თანხა და დამატებითი საპროცენტო სარგებელი ჩაერიცხება, რაც წინასწარ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით გამოითვლება. სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს საჩუქრად გადაეცემა ლიბერთი ანგარიშის მულტისავალუტო საბაზისო პაკეტი და საკრედიტო ბარათი — „მეჯიქ ქარდი“.

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ლიბერთი ბანკის ახალი საკრედიტო ბარათი Teacher's Card

სპეციალურად საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის!

ლიბერთი ბანკმა 2013-14 სასწავლო წლის დაწყება მასწავლებლებს ახალი საკრედიტო ბარათების შეთავაზებით მიულოცა და მათ განსაკუთრებული პირობები შესთავაზა.

„საკრედიტო ბარათი — Teacher's Card, რომელიც მხოლოდ საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი, სპეციალურად ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა“, — განაცხადა ლიბერთი ბანკის დირექტორმა არმენ მატევოსიანმა ბანკის სათავო ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე და აქვე განმარტა, რომ „აქციის ფარგლებში, საკრედიტო ბარათი გაიცემა წლიური მომსახურებისა და საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების საკომისიოს გარეშე“.

საკრედიტო ბარათი — Teacher's Card-ის ძირითადი უპირატესობებია:

- **შეღავათიანი წლიური საპროცენტო განაკვეთი და ბანკომატიდან თანხის განაღდების ტარიფი;**
- **საოცარი თვისება — ბარათით წარმოებული ყოველი მეათასე ოპერაციის თანხა დაუყოვნებლივ უბრუნდება უკან ბარათის მფლობელს.**
- **გადახდის თანამედროვე ფორმა — მასწავლებლის ბარათი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უკონტაქტო ბარათია, უკონტაქტოდ გადახდა შესაძლებელია ყველგან, სადაც უკონტაქტო გადახდის მანიშნებელია.**

მასწავლებლის ბარათს გააჩნია 4 ტიპის მიმზიდველი დიზაინი, რომელიც ადვილად მიესადაგება მასწავლებლის კვალიფიკაციას და ხაზს უსვამს მის სტატუსს.

„მიმზიდველი დიზაინის ბარათს აქვს საუკეთესო პირობები. აქციის ფარგლებში საკრედიტო ბარათს გავცემთ წლიური მომსახურებისა და საკრედიტო ლიმიტების დამტკიცების საკომისიოს გარეშე. გარდა ამისა, ბარათით წარმოებული ყოველი მეათასე ოპერაციის თანხა დაუყონებლივ უბრუნდება უკან ბარათის მფლობელს“, — განაცხადა არმენ მატევოსიანმა და დასძინა, რომ Teacher's Card-ს მასწავლებლები ადგილზე მიიღებენ.

- **აქცია კი 2014 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება.**

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.